საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 232 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 232

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი შვილები: იულია, სოფრომ და მირიან ხუნდაძეები და სიძე აპპოლონ ნიკოლაიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას ძვირფასი მამის

მღვდელ

ლუკა სოფრომის ძე ხუნდაძისას

ტირილი და გამოთხოვების დღე დანიშნულია 14 ოქტომბერს, დილით ხუთშაბათს ათ საათზე, სოფელ ჩომეთში, წმინდა გიორგის ეკლესიაში. (ნ. 1—1)

გულდათუთქული მეუღლე დავით იასონის ძე ანდღულაძე, მამა პროკოფი ბერეჟიანი, დედამთილი ლისა ელიზბარის ასული და მამამთილი იასონ ალექსის ძე, მაზლები ილარიონი, ნიკოლოზი და ხარიტონი მეუღლით, და მული თამარა ანდღულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის

დარეჯანის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ ქ. ახალ-ქალაქიდან 13 ოქტომბერს და დაასაფლავებენ ბახვის ეკლესიის გალავანში. (3314 1—1)

დამწუხრებული ბაბუა ელიზბარი, ბებია ელისაბედი, ბიძები: ტარასი, აქსენტი და პავლე, ბიცოლები მარიამ, ბაბო და საშა ჩხაიძეები აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ რძლის

დარეჯანის

უდროოდ ტრაღიკულად გარდაცვალებას ქ. ახალქალაქში. (3314 1—1)

სახელმწიფო თეატრი

ოპერა 13 ოქტომბერს ოპერა

ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: სპრაშევსკაია, ერმოლინსკაია, პანინა, ოვსიანიკოვა, სარაჯიშვილი, ბალაბანი, ისეცკი, ეზროვი, კურბატოვი, ქუჩხული 14 ოქტ. გოფმანის ზღაპრები, 15 ოქტ. ბალეტის საღამო მ. მორდვინისა, 16 ოქტ. ოპერა მუშებისათვის აბესალომ და ეთერი, 17 ოქტ. ფაუსტი და ვალპურგიის ღამე. წარმოდგენის დროს შესვლა თეატრში აკრძალულია. დასაწყისი 8 საათზე.

ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუღალტრო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12—1 საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან (ეროვნული საბჭოს ქუჩა, 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა). (3303 3—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

სეზონის 1920—1921 წლისა

პარასკევს, 15 ოქტომბერს

გუშინდელნი

პიესა 3 მოქმედებად შალვა დადიანისა.

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ არაბიძე, სეხანა ბეგანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია [illegible], მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ან. ქიქოძე, ოლიმპიადა ღოღობერიძე, ელენე ცომაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი. რეჟისორი **მიხეილ ქორელი**. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდე. და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის. **ანონსი:** შაბათს, ოქტომბრის 16-ს—„გუშინდელნი", კვირას, ოქტ. 17-ს—„ედიპ მეფე". (ნ. 2—1)

განცხადება

1) თანახმად მთავრობის 30 სექტემბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება გამოიტანოს ხორბლეულობა—გორის, სიღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან, გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2) მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემოაღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთი საკუთარი ჭირნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ლალა თავის მამულის, ან საკუთარი ან მისი ოჯახის ნამუშევარი,—მას უფლება ეძლევა გამოიტანოს მაზრიდგან თავის ოჯახის საჭიროებისათვის ოჯახზე თვიურ სახარჯოდ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურად. ამ რაოდენობის გამოტანა შეიძლება როგორც ერთად, ისე ნაწილობრივ:

შენიშვნა: ხორბლეულობა უნდა გამოიგზავნილ იქნეს რკინის გზით.

3) ხორბლეულობა, საქონლის მატარებლით, თუ ბარგით, უნდა გამოგზავნილ იქნეს აუცილებლად მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ თფილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4) საბუთად საჭიროა: ა) მოწმობა ადგილობრივ ერობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წამომღების საკუთრება და რომ იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებელის ბინის მისამართი.

5) სადგურ თფილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაც არის ამგვარად გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოგზავნილი და მიაღებული დოკუმენტების შემოწმება და კანონიერად გამოგზავნილი ხორბლეულობის მის მიერ პატრონისადმი გადაცემა და რეგისტრაცია.

6) თუ ხორბლეულობის გამომგზავნი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან გასასყიდათ ჩამოიტანს,—ერთმევა ხორბლეულობა უსასყიდლოდ და თვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

7) საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მისცემენ ხორბლის გამომტანს ყალბს მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

(ნ. 3—2) **მომარაგების სამინისტრო.**

8 თვიანი

ქართული უფასო ტანსავარჯიშო სკოლა

გაიხსნება მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს თფ. ვაჟთა 2 გიმნაზიაში. სწავლა იწარმოებს საღამოს 4 ნახ. საათ. 9 ნახ. საათამდე. სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები არა უმცირესნი 18 წლისა და საშუალო განათლებით აღჭურვილნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილზე ჩაირიცხებიან საშუალო სასწავლებლის 6 კლ. კურს დამთავრებულნი. სკოლის კურსდამთავრებულნი დაინიშნებიან ტან-ვარჯიშობის შტატის

მასწავლებლად

რესპუბლიკის სასწავლებლებში. თხოვნები მიიღება განათლების სამინისტროში ყოველ დღე 1—3 საათ. და საზოგ. „შევარდენში" საათ. მთავარ ინსტრუქტორის სახელზე.

(ნ. 2—2) ტან-ვარჯიშობის მთავარი **ინსტრუქტორი.**

30 ოქტომბერს, დანიშნულია სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მე-4 მორიგი

ყრილობა

გასარჩევია: 1) 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) არჩევნები, 4) მიმდინარე საკითხები.

(უფ. 1—1) **ერობის გამგეობა.**

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს"

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი

მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ე. ი. . . . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს—მომარაგებ. სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ე. ი. . . . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

(ნ. 10—6) **მომარაგების სამინისტრო.**

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება თფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირი არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) **საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი . . . . 4000 მ.**
ბ) **სუფთა ახალგორის და სხვა რაიონების . . . . 4500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან

ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

(ნ. 10—6) **მომარაგების სამინისტრო.**

ჩვენი ეკონომიური გაჭირვება და ოპოზიციის როლი

ფრონტებზე შედარებით სიწყნარის დამყარებამ საშუალება მოგვცა მთელი ჩვენი ყურადღება შინაურ საქმეებს მივაპყროთ. ოპოზიციაზე არა-ნაკლებ თვით მმართველმა პარტიამ აიმაღლა ხმა ჩვენი მოუწყობლობის წინააღმდეგ, ყველაზე მკაცრი კრიტიკა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ყველა მხარეებისა, გაისმა ამ აპარატის სათავეში მდგომ მთავრობის თავმჯდომარის პირიდან. სხვა და სხვა სნეულებამ დაისადგურა ჩვენი რესპუბლიკის ორგანიზმის ნაწილებში იმის გამო, რომ საზოგადოების მთავარი ყურადღება მთელის დაცვაზე იყო მიპყრობილი და ნაწილების გამაგრებისათვის, მის წვრილმანებში ჩახედვისათვის ვერ იცლიდა ვერც დემოკრატია, ვერც მის სათავეში მდგომნი. ამის გამო ამ ნაწილებში დაისადგურა მრავალმა უკულმართობამ, რომლებმაც ამ ბოლო დროს პირდაპირ საბედისწერო სიძლიერეს მიაღწიეს და სახელმწიფოებრივ ორგანიზმს მოწამლის უქადიან. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ საფრთხეს მთელმა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება, რომ სახელმწიფო ორგანიზმის განწმენდაზე და გაჯანსაღებაზე ყველამ, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიული რწმენისა, შეერთებული ძალებით ვიმუშავოთ. ჩვენს საზოგადოებას სჩვევია ყოველი საფრთხის წინაშე ერთსულოვნების გამოჩენა. მთელი ერის გაერთიანებული ძალებით ვიბრძოდით ჩვენ ყოველი გარედან მომდგარი მტრის მოსაგერიებლად. ყოველი უთანხმოება ბოლო ეღებოდა შინაური ანარქიის საფრთხის წინაშე. ჩვენი ერი ერთსმთლიანს ნებისყოფას იჩენდა ყოველთვის, როდესაც კი ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას რაიმე მოელოდა სერიოზული საშიშროება. სოციალისტურმა დელეგაციამ ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს სწორეთ ამ გაერთიანებულ ეროვნულ ნებისყოფას მიაქცია ყურადღება და სწორეთ იგი აღნიშნა, როგორც ძლიერი და სიცოცხლის უნარის დამამტკიცებელი ჩვენის ერისა.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა იმდენად საძნელოა, რომ დადგა დრო, როდესაც ერმა კიდევ ერთხელ უნდა გამოიჩინოს ერთი მთლიანი ნებისყოფა. მხოლოდ ამ გზით შევიძლიან მოვიშოროთ დღევანდელი საშინელი კრიზისი და სამშვიდობოზე გავიტანოთ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო. მაგრამ ეროვნული ნებისყოფის გასაერთიანებლად არის ერთი აუცილებელი პირობა. იმ ეკონომიური გაჭირვებით, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას თავს ატეხია, არავინ უნდა ისარგებლონ პარტიული ანგარიშების გასასწორებლად და პარტიული ქინიანობისათვის. ჩვენ გვყავს სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია, რომელსაც მთელმა ხალხმა უზარმაზარი უმრავლესობით დააკისრა მძიმე საქმე სახელმწიფოს ხელმძღვანელობისა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვყავს ოპოზიციური პარტიები. ძალიან ხშირად ამ ოპოზიციურ პარტიებს გააფთრებით და დაუნდობლად უბრძოლიათ მმართველი პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ეს გაფთრება და პარტიული ანგარიშების გასწორება მუდამ ყუჩდებოდა, როდესაც კი რესპუბლიკის არსებობა საფრთხეში ვარდებოდა.

რაც უნდა ბევრი შეცდომა იყოს ჩადენილი ჩვენს სახელმწიფო საქმიანობაში, რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი მოუწყობლობა და რაც უნდა ძლიერი იყოს ჩვენი გასაჭირი, ერთი რამ უდავოა: საქართველოში არ არსებობს არც ერთი პარტია, არც ერთი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს უკეთესი გზით წაიყვანდა და რომელიც თავის დროზე ქვეყნის ეროვნულ ნებისყოფას ისე შეადუღებდა და ეროვნულ შემოქმედებას ისე გააერთიანებდა, როგორც ეს მოახერხა სოც.-დემოკრატიამ. ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი სხვა დროშა, რომელსაც შეეძლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და შენარჩუნება იმისა, რაც ჩვენ ამ სამის წლის რევოლიუციური შემოქმედებით გვაქვს მოპოვებული.

დღიდან ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისა, იქნება არ დამდგარიყო ისეთი წამი, როდესაც ოპოზიცია ისე საჭირო ყოფილიყოს, როგორც დღეს. მრავალია შეცდომები ჩვენს საქმიანობაში, მრავალია ნაკლი ჩვენს სახელმწიფო მექანიზმში. ყველა ამას აღნიშვნა უნდა. ყველა ამას დაუფარავად მითითება და სინათლეზე გამოტანა სჭირიან. თითონ ჩვენ, სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტიის პრესა, ამ მითითების და მხილების გზას ვადგავართ, მაგრამ ოპოზიციის მოღვაწეობა სარგებლობას მოიტანს მხოლოდ ერთი პირობით: ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ის ალაპარაკებს ერთადერთი მოსაზრება, ერთად ერთი საზრუნავი—ჩვენი რესპუბლიკის განწმენდა, მისი გაჯანმრთელება და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება.

პოლემიკური წერილები

X.

ლოღიკა და ულოღიკობა.

„სახალხო საქმემ" მამხილა „ჩვეულებრივი" ულოღიკობა. ემტერება ლოღიკას და ლოღიკაც ემტერებაო. ეს აღმოაჩინა გაზეთმა იმ წერილში, რომელშიაც მე ვეხებოდი მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელ ბრძანებას. ეს ბრძანება გამოიყენეს მარჯვნივაც და მარცხნივაც. ზოგი იცავს დემოკრატიას მთავრობის თავმჯდომარის წინააღმდეგ, ზოგი ემხრობა მთავრობის თავმჯდომარეს დემოკრატიის დასამცირებლათ.

მე „გადავლახე" ლოღიკის კანონები და მოვინდომე ორივე პრინციპის დაცვა. ეს შეუძლებელიაო,—ამბობს „სახალხო საქმის" თანამშრომელი,—ან ერთი ან მეორეო. ის არც კი ცდილობს ამ აზრის დამტკიცებას, იმდენათ საფუძვლიანია მის თვალში ეს აზრი.

ჩვენთვის არ კმარა ერთი თვალის დახამხამება რთული კითხვების გასარჩევათ. განვაგრძობ ისევ „ულოღიკობას" და გავიმეორებ, რომ ერთპიროვნული დიქტატურა მისაღებია, თუ ის გამომდინარეობს საყოველთაო არჩევნებისგან. მიუღებელია ბოლშევიკების და ლენინის დიქტატურა, რომელსაც არ აქვს ამისთანა დასაბამი.

აქ არის დამფუძნებელი კრება, ეს იძლევა ყოველნაირ უფლებას და განსაკუთრებულ უფლებებსაც. მის წინაშეა პასუხისმგებელი ის, ვინც ატარებს ამ უფლებებს.

არაფერი არ არის ამის მგზავსი ბოლშევიკების და ვრანგელის სამეფოში. მთელი ხალხისგან არჩეული დაწესებულება იქ არ არსებობს. მართვა-გამგეობა იქ იწყება ზემოდან და არა ქვემოდან. სახალხო ნება რომ იქ თავისუფლათ იხატებოდეს, ის ერთ წუთსაც არ შეეთანხმებოდა იქაური მართვა-გამგეობის წესს. იქაური დიქტატურა არ არის ხალხისგან დამოკიდებული, პირიქით ხალხია დამოკიდებული მისგან.

ეს შეუძლებელია დემოკრატიულ წესწყობილებაში. აქ შეიძლება დრომ მოითხოვოს და დროებით დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბოს ხოლმე. მაშინ მას უფლებებს, მისივე დადგენილებით, ასრულებს, ვთქვათ, ერთი პიროვნება. როცა გარემოების მიხედვით შესაძლებელი გახდება, ის ანგარიშს წარუდგენს თავის უფროსს.

ერთპიროვნული დიქტატურა ამ შემთხვევაში მარტო გარეგნულათ შორდება ხალხს, არსებითად კი არ კარგავს კავშირს, არსებითად ის ხალხის ინტერესების გამომხატველი რჩება. ხალხისგან არჩეული ორგანო ჩამოართმევს განსაკუთრებულ უფლებებს, თუ ის საჭიროთ დაინახავს ამას. მე ვირჩევ მაგალითად რომელიმე რწმუნებულს ჩემი ინტერესების დასაცავათ, არ შემიძლია გამოვეკიდო უკან და თან ვახლდე ყოველ ფეხის გადადგმაზე. ის ხელმძღვანელობს საერთო პრინციპით და თავისით მოქმედობს ყველა კერძო შემთხვევებში. თუ გადაუხვია მთავარ გზას, უნდობლობა გამოეცხადება და სხვა აირჩევა მის ალაგას.

ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთპიროვნული დიქტატურის დამოკიდებულება დემოკრატიულ პრინციპთან. არ ვიცი წარმოიდგენს თუ არა ამას „სახალხო საქმის" თანამშრომელი. მე მგონია, ვერ წარმოიდგენს. მისი მსჯელობა ბუნებით მეტაფიზიკურია. იცის ან ჰო, ან არა, ამას იქით ყველაფერი ეშმაკის საქმეთ მიაჩნია.

* *
*

ძველი ანბანი.

დიალექტიკა აკლია ჩვენ „კომუნისტებსაც". უკვირს,—როდის იყო, რომ მარქსისტი ებრძოდა კონცენტრაციას და პროლეტარიზაციას, საზოგადოთ ცხოვრების აუცილებელ მსვლელობასო. „სახალხო საქმესაც" მოეწონა „კომუნისტის" მეტაფიზიკა და... გადმოისროლა გაკვირვებითი ნიშნები.

ერთნაირი ჯიშის მოაზრეები არიან ორივე გაზეთის მესვეურები. მათი აზრით ან უნდა ვებრძოლოთ ისტორიულ აუცილებლობას, ან ქუდმოხდილი შევხვდეთ და სავსებით მივყვეთ.

მარქსისტები არ აზროვნობდენ ასე. ისინი ამბობდენ,—ისტორიული აუცილებლობაა კაპიტალიზმი, მაგრამ ისეთივე აუცილებლობაა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაცო. მარქსისტებმა იცოდენ, რომ თითონ კაპიტალიზმი შექმნიდა თავის საწინააღმდეგო ძალებს.

„კომუნისტს" კარგათ ეხსომება, რას გვირჩევდენ ხოლმე ჩვენი მოწინააღმდეგეები რამოდენიმე ათეული წლის წინეთ —თუ თქვენ კონცენტრაცია—პროლეტარიზაცია აუცილებლათ მიგაჩნიათ, გაალეთ ახლავე ყველგან ფაბრიკა ქარხნები, ხელი შეუწყეთ ხალხის გაღატაკებას, რაც მალე იზამთ ამას, მით უკეთესი იქნება თქვენებური სოციალიზმისთვისო.

„კომუნისტს" ეხსომება ისიც, რომ არც ერთ ჩვენგანს არ მიუღია ეს რჩევა.

მარქსისტები წინ არ ეღობებოდენ ცხოვრების აუცილებელ მსვლელობას.—

დღეს

იტალიის მთავრობამ საპასუხო ნოტით მიმართა შეერთებული შტატების სტატ-სეკრეტარ კოლბის. ნოტაში სხვათა შორის ნათქვამია: იტალიას არ შეუძლია შესწორება არ გაუკეთოს ამერიკის ნოტის იმ ნაწილს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ფინეთის და პოლონეთის დამოუკიდებლობას. იტალიას არ შეუძლია წინ აღუდგეს ბალტიასა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობას.

პოლონეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

გაზ. „დეილი-ხრონიკლი“ იუწყება: წინასწარ ზავს რიგაში ორშაბათს მოაწერეს ხელიო. მეორე დეპეშაში კი აღნიშნულია, რომ პოლონეთს და რუსეთს შორის საქმე გართულდაო.

ამერიკულ მრეწველებს გადაუწყვეტიათ მოსკოვთან მოლაპარაკების გარეშე განაახლონ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება.

გერმანიაში გაზეთზე მომუშავეთა გაფიცვაა.

ბავარიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო მე-3-ე ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება.

აკეთე, რისი გაკეთებაც გინდაო,—ეუბნებოდენ კაპიტალიზმს,—შენ ბოროტებას ჩვენ სიკეთედ გადავაქცევთ, შენ უარყოფით მხარეს გამოვიყენებთ შენი დადებითი მხარეების გამოსაჩენათო.

კონცენტრაციის და პროლეტარიზაციის ნიადაგზე შეიქმნა დიდი ტეხნიკა, დიდი საწარმოო ძალები. ჩვენ ეს უნდა გადმოგვეტანა საზოგადოების ხელში და ისე მოგვეწყო ახალი ცხოვრება, რომ სიმდიდრე აღარ დაგროვილიყო ერთ კუთხეზე და სიღატაკე აღარ გავრცელებულიყო მეორე მხარეზე. ეს იქნებოდა სწორეთ პროლეტარიზაციის და კონცენტრაციის დამარცხება. „სახალხო საქმეს“ და „კომუნისტს“ შეეძლოთ ამოეკითხათ ეს მარქსის ან ენგელსის პირველ დაწყებით წიგნაკში.

„სახალხო საქმის“ თანამშრომელს, ლოღიკურად მოაზრე ს. დ—ს ჰგონია, რომ „ბებიაობა“ ძველი პროცესის ხელის შეწყობას ნიშნავს. ამისთანებზე ითქმის რუსულ გმირის სიტყვებით,—промежду недоразумѣніевъ бродитъ-ო. ჩვენის აზრით, სოციალისტებმა ბებიასებურად ხელი უნდა შეუწყონ სოციალიზმის დაბადებას, მაგრამ რამდენადაც გაიზრდება ეს სოციალიზმი, იმდენად გაემგზავრება საიქიოსკენ მისი წარმომშობი კაპიტალიზმი. ჩვენი ბებიაობა არღვევს ძველ პროცესს, ხელს კი არ უწყობს. ესეც ძველი ანბანია. მისი წაკითხვა და გაგება არ შეუძლია მარტო „სახალხო საქმის“ ეროვნულ სოციალისტებს. ისინი ნაროდნიკებივით ფიქრობენ, რომ შეიძლება სოციალისტური განვითარება უკაპიტალიზმოთ, კაპიტალისტური ქვეყნებისგან დამოუკიდებლად. კაპიტალიზმის განვითარებაში ისინი მარტო უარყოფით მხარეს ხედავენ.

* *
*

მარქსის დედა აზრი.

ასეთივე მხედველობა აქვთ ახლანდელ ბოლშევიკებსაც. ერთ ერთ წინა წერილში მე მოვიყვანე მარქსის სიტყვები, სადაც ის კაპიტალისტურ ინგლისს ასახელებდა მომავალი სოციალისტური რევოლიუციის დამწყებათ. მარქსი აღარ გაიმეორებდა ახლა ამასო,- გვარწმუნებს „კომუნისტი“. ინგლისი მაშინ მართლა კლასიკური ქვეყანა იყო კაპიტალიზმის, მერე ვეღარ შეირჩინა პირველობაო. მარქსის წერილში ის კი არ არის თავი და თავი, რომ უთუოთ ინგლისი და არა სხვა ქვეყანაო. ის ინგლისში ხედავდა მხოლოდ უმაღლესათ განვითარებულ კაპიტალიზმს და სწორეთ ეს მიაჩნდა სოციალიზმის წინასწარ პირობათ. შეიძლება ეს წინასწარი პირობა ინგლისში მოსპობილიყო და სხვა ქვეყანაში განვითარებულიყო. შეიძლებოდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნათ გადაქცეულიყო გერმანია ან ამერიკა. ამითი არ შეიცვლებოდა მარქსის დედა აზრი. ის ფიქრობდა კაპიტალიზმი სოციალიზმის სამშობლოო, და რასაკვირველია, სულ ერთია, რომელი ქვეყანა გადაიქცევა ამისთანა სამშობლოთ. ახლა, როგორც ვხედავთ, ისევ ინგლისი დარჩა პირველ ადგილას.

ბოლშევიკები იმით გაირჩევიან მარქსისგან, რომ სოციალისტურ ბუდეს ეძებენ იქ, სადაც კაპიტალიზმს ფეხი არ შეუდგამს, ეძებენ ჩამორჩენილ ქვეყნებში.

თითონ ლენინს ეთქვა „კომუნისტური ინტერნაციონალის“ სხდომაზე,—აღმოსავლეთში უფრო გლეხები არიან და ამ გლეხებს უნდა დაუკავშირდენ ევროპის მუშებიო. მე არ მეგულება არც მკვდრებში არც ცოცხლებში ამისთანა მოაზრე მარქსისტი. მუშის და გლეხის შეერთება სოციალისტურ რევოლიუციაში,—არც ერთ მარქსისტს არ მოსვლია აზრათ.

მარქსს ჩვენ არ ვუყურებთ ეკლესიურათ და ბოლშევიკებს არ ვებრძვით მარტო მისი აზრების დარღვევისთვის. მაგრამ ისინი მისი სახელით ნათლავენ ყველაფერს, რაც არ ეკარება არც მის სახელს, არც მის მოძღვრებას.

ხ. დევდარიანი.

პრესა

რამდენათაც დრო გადის, იმდენად „ახალი სხივი“ უფრო და უფრო აშკარავებს თავის ბუნებას და მიზნებს. წინად ის აცხადებდა: ჩვენ ვებრძვით კერძო უწყებათა ზოგიერთ ნაკლებს, საერთო სისტემის, საერთო პოლიტიკის წინააღმდეგ კი არაფერი გვაქვსო. ახლა კი უკანასკნელ ნომერში მომარაგების სამინისტროს შესახებ სრულიად დაუშვებელი კილოთი და ფრაზებით სავსე წერილში გადაკრით მოითხოვს თვით სისტემის შეცვლას, რომელიც მას უვარგისად მიაჩნია. და აი სწორედ ახლა იწყება „ახალი სხივის“ მიზნების გამომჟღავნება.

„ახალ სხივს“ არ მოსწონს არსებული სისტემა. კეთილი. მაგრამ რა სისტემა უნდა მას და როგორია სქემა მისი სისტემისა, ამის შესახებ ის ჯერჯერობით არას ამბობს და „ახალი სხივი“ ვალდებულია ეს დაწვრილებით გაგვაცნოს. მაშინ აშკარა იქნება ყველასათვის ის აზრთა სხვა და სხვაობა, რომელსაც „ახალი სხივი“ დღემდე ხელოვნურად აფუჩეჩებს და რომლის სათავე არც ისე შორსაა, როგორც შორს მდგომ მკითხველს ეჩვენება.

„ახალმა სხივმა“ „საქართველოს“ სტილი და ლექსიკონიც შეითვისა. ის სისტემის უარყოფასთან ერთად აღარ ინდობს მინისტრი ერამის პიროვნებასაც და მას „არ მცოდნე, გამოუცდელ და ყველაზე შეუფერებელ პიროვნებათ“ აცხადებს. და თუ ასე ეპყრობა მინისტრს და ამხანაგს, რაღა გასაკვირია თუ სხვა დაბალ მოხელეს სრულიად აღარ ინდობს და პირდაპირ ქუჩური სიტყვებით ამკობს. ამ მხრით საყურადღებოა იმავე ნომერში ხელმოწერილი წერილი ბათომის და მისი ოლქის შესახებ. ეს წერილი უეჭველია დაწერილია პირადი განწყობილების ნიადაგზე. ამიტომ მას მკითხველი ღირსეულათ დააფასებს. ამ წერილის ავტორი მოითხოვს ამხ. ჩხიკვიშვილის უკან გამოწვევას, ლანძღავს ახლად დანიშნულ ამხ. სულაქველიძეს და მის მაგიერ სხვის დანიშვნას ითხოვს. რით დაიმსახურეს აღნიშნულმა პირებმა „ახალი სხივის“ უსახელო ავტორის გულისწყრომა, ამას ჩვენ მალე გავიგებთ.

გავიგებთ იმასაც, თუ რა პასუხს აგებს ავტორი და „სხივის“ რედაქტორი ისეთ ქუჩურ სიტყვებში, როგორიცაა „ორ ბატს არ მიაბარებს კაცი“, „შარლატანი“ და სხვა ასეთები, და რომელიც ეხება ოლქის უბნის ერთ-ერთ უფროს.

„ახალი სხივი“ დაეშვა თავდაღმართზე და მისი თავის შეკავება ეტყობა არც ისე ადვილია.

Чѣм дальше в лѣс—тѣм больше дров.

არ გვგონია ასეთი გზით „ახალმა სხივმა“ რაიმე შეიძინოს...

* * *

თ. ღლონტი გაგვიწყრა, სტატისტიკურ ცნობებს არ კითხულობენო.

ბ-ნი ღლონტი თავის გასამართლებლად ემყარება 1919 წლის ბიულეტენს, რომელშიც ფასი სწორეთ არის აღნიშნული ე. ი. 760 მანეთი ფუთი. მაგრამ ამასთან ბ. ღლონტს შედარებული აქვს 1920 წლის ფასი—6,000 მანეთი, ეს კი არც ერთ ბიულეტენში არ არის. მხოლოდ ბაზარზეა ამოკრეფილი სპეკულიანტებისგან, რომელნიც ამდენათ აფასებენ დღეს უკვე გამოლეულ ამერიკის ფქვილის ნაშთს.

ჩვენ ამ ნაშთის ფასის გამოცხადება ნორმალურ პურის ფასათ, რომელსაც ხალხი ხმარობს, მივიჩნიეთ სპეკულიანტების დახმარებათ ფასის აწევაში.

ბ-ნი თედო ღლონტი მისი სტატისტიკურ ცოდნაში ეჭვის შეტანამ გააბრაზა და სპეკულიანტების დახმარებაში კი თავის უნებურათ დასტური დაგვცა: იგი სწერს: „ჩვენი ცნობები ეხება იმ პურის ფქვილს, რომელიც მართლა ფქვილია და რომლითაც იკვებებოდა ხალხი“.

განა მან ის არ იცის, რომ ამერიკის ფქვილით ახლა მხოლოდ საკანდიტეროები და სპეკულიანტები იკვებებიან? იცის, მაგრამ მაინც ამ სპეკულიანტების ფასს საერთო ფასებათ აცხადებს. აი ეს ვუკიჟინეთ ჩვენ. და ეს მართალიც არის. თავის პასუხში თედო ღლონტს მოყავს ადგილობრივი პურის ფასებიც, და ამით უნდა საქმე გამოასწოროს, მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენს ბრალდებას სპეკულიანტებთან და მათ სასარგებლო ფასების ამოკრეფას შესახებ კი ადასტურებს.

ასეთია მისი სტატისტიკური სიმართლე!

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანული ცნობები

საფრანგეთი და გერმანია.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩს ლორანს, უკანასკნელის პარიზში გამგზავრების წინ გადასცა ნოტა ფინანსების და ზარალის ანაზღაურების საკითხების გამო გერმანელ და ფრანგ ექსპერტების ოფიციალურ თათბირის დანიშვნის შესახებ, რათა ამ გზით მომზადდეს ნიადაგი მომავალ საერთაშორისო კონფერენციისათვის.

გაფიცვა ბერლინში.

ბერლინის გაზეთების გაფიცვა ძლიერ გაიზარდა. ტეხნიკურ სამუშაოს აღმასრულებელი მოსამსახურენი გაფიცულთა მაგივრად მუშაობაზე უარს აცხადებენ. ბერლინის გამომცემლებს საერთო ძალღონით სურთ ერთი საერთო გაზეთის გამოშვება. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გაზეთს ბერლინს გარეშე დაბეჭდავენ. მეორე მხრით მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მუშების და მოსამსახურეების სოლიდარობის უფლებას და სხვას. ამ ჟამად გამომცემელთა მიერ დათხოვნილია 16 ათასი მოსამსახურე და მუშა. სოციალისტური და უდიდესი გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ბრძოლას შრომის და კაპიტალის შორის სერიოზული მნიშვნელობა აქვსო.

ზავის გარშემო.

საფრანგეთის პრესა იუწყება: საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის შორის დროებითი ზავი კიდევ არ არის ხელმოწერილიო. ორთავე დელეგაციის სეკრეტარიატები დაბრკოლების შესახებ იტყობინებიან.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

უნდა ვეკვეთოთ ვრანგელს.

მოსკოვი. 11/10. „იზვესტია“ სწერს: ეხლა უკვე იმედი უნდა გვქონდეს, რომ პოლონეთთან ზავი დაიდება. მაგრამ იქნება ის ხანგრძლივი... (დამახინჯებულია)... ამიტომ ჩვენ ფხიზლათ უნდა ვიყოთ, ჩვენ ვრანგელი უნდა დავამარცხოთ, სანამ მას საფრანგეთი და ინგლისი დახმარებას აღმოუჩენენ. შეიძლება ზამთრამდე კიდევ ცოტა დრო დარჩა, რომ საბოლოოთ გავსწმინდოთ სამხრეთი შავრაზმელებისაგან. ზამთრის განმავლობაში ჩვენ აუცილებლად უნდა მოუღოთ ბოლო ამ კონტრ-რევოლიუციონურ რაზმს, რათა იგი არ გაძლიერდეს. სანამ რუსეთის კონტრ-რევოლიუცია საბოლოოდ არ დამარცხდება, მას ყოველთვის შეაფარებენ თავს უცხოელები, რომელთაც სძაგსთ საბჭოთა მთავრობა. მათ რიცხვში ყოველთვის იქნებიან პოლონეთის იმპერიალისტები. ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვეკვეთოთ ვრანგელს. მტკიცე ზავი ბურჟუაზიულ მთავრობასთან შეუძლებელია, ჩვენ მშვიდობიანი შრომას ვერ შევძლებთ სანამ არ მოვსპობთ ბარონს.

ზამთრამდე უნდა მოისპოს ვრანგელი.

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ხშირათ იმეორებენ, რომ საფრანგეთი რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებაო. თუ ეხლა პოლონეთმა ჩვენთან ზავი შეკრა—ეს აიხსნება მისი შინაური დაშლით, რომ მშრომელ კლასს არ უნდოდა ბრძოლა მუშათა და გლეხების რუსეთთან. ბურჟუაზიას დარჩა ერთი იმედი—ბარონი ვრანგელი, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოისპოს: ჩვენმა ჯარმა დაამარცხა ვრანგელის ზოგი ნაწილები, როცა ჩვენ ჩავაცმევთ და გავათბობთ ფრონტს, ვრანგელი დაუყოვნებლივ განადგურებული იქნება. დაეხმარეთ ფრონტს, ზამთრამდე უნდა მოისპოს ვრანგელი.

სამხედრო ცნობა.

11/10. სმორგონის სამხრეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. მინსკის რაიონში ჩვენ კოიდანოვი და ამ დაბის ჩრდილოეთით და სამხრეთით 30 ვერსზე მდებარე სოფლები დავიჭირეთ. სლუცკის დასავლეთით 10 ვერ. გზატკეცილის გასწვრივ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სამხრეთით კი სლუცკის დასავლეთით 10—20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ ლუნინეცის რაიონში შეტაკებებია. სარნის მიმართულებით ჩვენ მტერი ოლევსკისკენ დავხიეთ. ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში ჩრდილოეთით 10—15 ვერსზე რამდენიმე ადგილი დავიჭირეთ. დამატებითი ცნობებით ამ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ 42 ტყვე წამოვიყვანეთ. ბერისლავის რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 12 აფიცერი და 340 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო ქონება. გულიაი-პოლესა და ბერდიანსკის მიდამოებში ჩვენი შეტაკება სასურველად ვითარდება. ჩვენმა ჯარმა გულიაი პოლე დაიჭირა.

ლიონის ცნობები

ვილნოს ბედი.

კოვნოდან იტყობინებიან, რომ ვილნო პოლონეთის ჯარმა დაიკავაო. პოლონეთის მთავრობა უარყოფს ამ ცნობას. შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად ვილნოში ხალხთა ლიგის კომისია გაემგზავრა.

პოლონეთი და რუსეთი.

„დეილი ხრონიკლი“ იუწყება: წინასწარი ზავს რიგაში ორშაბათს მოაწერეს ხელიო. მეორე დეპეშაში კი აღნიშნულია, რომ პოლონეთსა და რუსეთს შორის საქმე გართულდაო.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

მიწის ძვრის შედეგები.

რომი. 1 ოქტ. ირკვევა ტოსკანაში მომხდარ მიწის ძვრის შედეგები: მოკლულია 500-ზე მეტი, დაჭრილია 1000 კაცი. პიზანელის მთის წვერზე მომქმედი ვულკანი გაიხსნა. 150,000 კაცი უსახლკაროდ დარჩა მიწის ძვრა სისტემატიურად გრძელდება.

ინგლისი და იაპონია.

მოსკოვი. „იზვესტია“ იუწყება: ისახება ინგლისის და იაპონიის კავშირი ამერიკის წინააღმდეგ. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში იხილავენ ამერიკის საზღვაო და სამხედრო ძლიერების ზრდას. ეს ზრდა საზღვრავს ამ ჟამად ინგლისის პოლიტიკას.

ბინების გაძარცვა.

„იზვესტია“ იუწყება: უკანასკნელ ხანებში მოსკოვის ყოველ უბნიდან მოისმის მოთქმა ბინების გაძარცვის გამო. ბანდიტები ისე გათავხედნენ, რომ თავის ვერაგ მუშაობას სრულიად მშვიდად აწარმოებენ დღისით. ასეთი მათი მოქმედება დაუსჯელი არ დარჩება.

ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. ოქტ. 10. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: ამერიკელმა მრეწველებმა გადასწყვიტეს მოსკოვთან მოლაპარაკების გარეშე განაახლონ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება. ბოლშევიკები შეპირდნენ მიღებულ საქონლის საფასური მისცენ ამერიკელებს ყოველ თვიურად 10—12 ათასი ტონი ნავთი.

მე-3-ე ინტერნაციონალში შესვლის უარყოფა.

მიუნხენი. ოქტ. 29. ბავარიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება.

ხმების უარყოფა.

პარიზი. ოქტომბ. 20. „ტანი“ იუწყება: სომხეთის დელეგაცია უარყოფს იმ ცნობას, თითქოს ხან-ხოილის მკვლელები დაშნაკელთა პარტიის წევრები იყვნენ.

საიდუმლო დავალება.

ქრისტიანია. ოქტ. 1. ლიტვინოვის ჩამოსვლის გამო ადგილობრივი პრესა აქვეყნებს ლიტვინოვისადმი მესამე ინტერნაციონალის მიერ საიდუმლო დავალებას მსოფლიო რევოლიუციის მოწყობის შესახებ. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ ყოველ სახელმწიფოში დაარსონ საიდუმლო ორგანიზაციები, იარაღის საწყობები და სხვა.

მოძრაობა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

ლონდონი. ოქტომბრის 1. „დეილი ქრონიკლის“ ცნობით სამხრეთ რუსეთში და კერძოთ ნიკოლაევში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მოძრაობა ძლიერდება. ამ მოძრაობამ შეიძლება მთელი უკრაინა მოიცვას და შემდეგ ცენტრალურ რუსეთზედაც გავრცელდესო.

იტალიის პასუხი ამერიკისადმი.

გაზეთი „მესაჯერო“ აგვისტოს 25-ს სწერს: „იტალიის ელჩმა ვაშინგტონში ამ დღეებში აცნობა ბ-ნ კოლბის იტალიის მთავრობის პასუხი ამერიკის მთავრობის მიერ რუსეთის საკითხის შესახებ გამოგზავნილ ნოტაზე. ეს პასუხი გადაცემულ იქნა სიტყვიერად, ხოლო გრაფ სფორცამ დაიტოვა უფლება შემდეგში ამ საკითხზე იტალიის შეხედულების უფრო გარკვევით წერილობით გადაცემისა.

რამდენადაც ჩვენ გავიგეთ, იტალიის ელჩს განუცხადებია ბ-ნ კოლბისათვის, რომ იტალიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ამერიკის ნოტა, ვინაიდან მას სურს ჰქონდეს მუდმივი თანხმობა მოკავშირეებთან, აგრეთვე იცოდეს ამერიკის ყურადსაღები შეხედულება რუსეთის საკითხზე. თავის მხრივ გრაფ სფორცას შეუძლიან მხოლოდ განიმეოროს ის განცხადება, რომელიც გააკეთა მან პარლამენტში საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საკითხის გამო: ვსცნობთ რა, რომ ამ ჟამად საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს უძლიერეს ძალა უფლებას რუსეთში, საჭიროდ მიგვაჩნია დავამყაროთ მასთან რეგულიარული და ნამდვილი ურთიერთობა და მოვსპოთ ბლოკადა მთელი თავის პოლიტიკური შედეგებით. ამავე დროს იტალიას არ შეუძლია შესწორება არ გაუკეთოს ამერიკის ნოტის იმ ნაწილს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობას. იტალია, რა თქმა უნდა, აღიარებს რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას, მაგრამ არ შეუძლია წინააღუდგეს ბალტიისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობას.

გაზეთი „მესაჯერო“ სწერს: ეს ნათელი პასუხი, რომელიც გასცა გრაფ სფორცამ ბ. კოლბის წარმომადგენელს, წარმოადგენს იმ სწორსა და ლოღიკურ ხაზს, რომელიც უნდა გაატაროს იტალიამ თავის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის საკითხის შესახებ. ეს პოლიტიკა ევროპის მდგომარეობის საკითხში ხელმძღვანელობს საერთო რეალისტურ შეხედულებით და იტალიას არ შეუძლია გადაუხვიოს მას აღმოსავლეთ ევროპაში მომქმედ ადგილობრივ ხასიათის წარმავალ მოვლენათა გამო.

სალამი კაუცკის

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

სოხუმი. სოხუმის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭო მთელი მუშათა კლასის სახელით ესალმება საერთაშორისო მუშათა კლასის უბადლო მასწავლებელს—კარლ კაუცკის, რომელსაც ხელთ უპყრია გაჩირაღდნებული კელაპტარი და მიუძღვის წინ მთელ ევროპის მუშათა კლასს და რომლის მიერ ნაჩვენებ გზას ჩვენ ვერ აუხვევთ. სალამი ჩვენი იდეის მამამთავარს! სალამი თქვენდა; დიდებულო მასწავლებელო! გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! პრეზიდიუმი.

ოზურგეთი. გურიის პროფესიონალუ-

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

პრუსია.

პრუსია გერმანიის უდიდესი შემადგენელი სახელმწიფოა. გერმანიის რევოლიუციურ გარდაქმნასთან ერთად პრუსიაც გარდაიქმნა, უკეთ პრუსიის რევოლიუციურ გარდაქმნასთან ერთად გარდაიქმნა გერმანია.

დღეს პრუსია რესპუბლიკაა გერმანიის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკათა შორის. რევოლიუციამდე იგი მონარქია იყო შეზღუდულ უფლებო სახალხო წარმომადგენლობით და მეთაურობდა გერმანიის რეაქციას.

გერმანიის საზოგადო ფედერატიული კონსტიტუცია აღიარებს, რომ **ყველა შემადგენელ სახელმწიფოს კონსტიტუცია უნდა იყოს რესპუბლიკანური.** რამდენადაც ვიცით, პრუსიის კონსტიტუცია ჯერ არ გამოქვეყნებულა. გამოიცა მხოლოდ პროექტი პრუსიის კონსტიტუციის.

ამ პროექტის მიხედვით, პრუსიის რესპუბლიკა ემყარება დემოკრატიულ პრინციპებს, პარლამენტი—ლანდტაგი ირჩევა პირდაპირ ხალხის მიერ 4 წლით. არჩევნები უაღრესად დემოკრატიულია.

ლანდტაგის თავმჯდომარეს ეძლევა წარმომადგენლობითი უფლება. პრეზიდენტი ერთია მთელი გერმანიისთვის. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას.

ლანდტაგის თავმჯდომარე იწვევს პრემიერს, რომლის წინადადებით იგივე თავმჯდომარე ნიშნავს დანარჩენ მინისტრებს.

მთავრობას პარლამენტის დათხოვნის უფლება არა აქვს. პრემიერ-მინისტრი საზღვრავს მთავრობის პოლიტიკას. მთავრობის უფლებაა—მოხელეთა დანიშვნა, რეიხსრატის (გერმანიის ფედერატიულ საბჭო) წევრთა არჩევა, შეწყალება და სხვ.

არის **პოლიტიკური პასუხისმგებლობა.** ლანდტაგს შეუძლიან უნდობლობა გამოუცხადოს როგორც მთელ მთავრობას, ისე თვითეულ მინისტრს. ხოლოდ უნდობლობის გამოცხადების საკითხი წყდება **სახელობითი კენჭის ყრით.**

ასეთია მოკლეთ პრუსიის კონსტიტუციის პროექტის სქემა, რამდენადაც ჩვენამდე მოაღწია მან. არ ვიცით იგი ამ სახით იქნება მიღებული თუ არა. გერმანიის დანარჩენ შემადგენელ სახელმწიფოთა ახალი კონსტიტუციური წყობილება ჯერ არ ვიცით, და მიტომ ვერც შევეხებით მას.

ჰამბურგი.

ჰამბურგი გერმანიის შემადგენელი სახელმწიფო—ქალაქია. მაგრამ თუ მის კონსტიტუციაზე შევჩერდებით ცოტა ხნით, ეს იმიტომ რომ იგი ტიპიურია და სამაგალითო გერმანიის თავისუფალ განზელ ქალაქთა **რესპუბლიკანურ კონსტიტუციებისთვის.** ეს ქალაქები—რესპუბლიკები, მათ შორის ჰამბურგის საშუალო საუკუნოებიდან მოდიან და იცავენ თავის განსაკუთრებულ წყობილებას მონარქიულ და რეაქციონურ იმპერიის ბატონობაშიაც.

ჰამბურგის, როგორც სავაჭრო რესპუბლიკის, უკანასკნელი კონსტიტუცია, შეფარდებული საერთო გერმანიის საიმპერიო წყობილებასთან, შემუშავდა 1879 წ. (შემდეგ ორჯელ შესწორდა).

თავისუფალი განზელი ქალაქი ჰამბურგი გერმანიის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, სინიდისის და რწმენის სრული თავისუფლება უზრუნველყოფილია. უმაღლესი ხელმწიფება ეკუთვნის **სენატს და მოქალაქეთა პალატას.** საკანონმდებლო ხელისუფლება **სენატსა და მოქალაქეთა პალატას** აქვთ, აღმასრულებელი ხელისუფლება **მარტო სენატს,** სამოსამართლო ხელისუფლება—სასამართლოს.

მოქალაქეთა პალატა შესდგება 160 წევრისაგან. აქედან 80 ირჩევენ პირდაპირ და ფარულად მოქალაქენი. ცენზი არაა. დანარჩენ 80 ირჩევენ პირდაპირ ცენზიანები და დამსახურებული მოქალაქენი. **დეპუტატობაზე უარის განცხადება უდრის მოქალაქეობის დაკარგვას.** პალატის წევრები ირჩევიან 6 წლით. პალატა ახლდება ნაწილობრივ. დეპუტატები უპასუხისმგებლონი და შეუვალნი არიან. გასამრჯელოს არ ღებულობენ. მოქალაქეთა პალატა იკრიბება სენატის განკარგულებით, მოქალაქეთა კომიტეტის დადგენილებით ან თავის საკუთარი გადაწყვეტილებით.

არ აირჩევიან მოქალაქეთა პალატაში მოხელენი, რომელნიც სახელმწიფოსაგან იღებენ გასამრჯელოს. ეს არ ეხება მღვდელმსახურთ, გიმნაზიის მასწავლებელთ და მათ, ვისაც იურიდიული განათლება მიუღია *).

სენატი შესდგება 18 წევრისაგან. ცხრა უნდა იყოს იურიდიული განათლებით, დანარჩენი ცხრა უნდა ეკუთვნოდეს ვაჭრთა წოდებას. სენატის წევრებს ირჩევს მოქალაქეთა პალატა განსაკუთრებული, მეტად რთული პროცედურის თანახმად იურიდულად თვითონ სენატიცა ღებულობს სენატის წევრის არჩევნებში მონაწილეობას. საარჩევნო წარმოება ხდება ერთს შეუწყვეტელ სხდომაზე. სენატის წევრობაზე უარის განცხადება უდრის მოქალაქეობის უფლების დაკარგვას.

სენატის წევრი თავის მოვალეობას ასრულებს მუდმივ, მთელს თავის სიცოცხლეში. კანონი საზღვრავს, როდის შეუძლია სენატის წევრს თავის დანებება. სენატის წევრთ აქვთ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო. სენატი ირჩევს თავმჯდომარეს (ბურგომისტრს) ერთი წლით.

სენატის უფლებაა—დანიშნოს არჩევნები მოქალაქეთა პალატის, მოიწვიოს იგი, დაიცვას წესიერება, აასრულოს კანონი და სხ. სენატი უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრატიული დაწესებულებაა. იგია უმაღლესი წარმომადგენელი გერმანიის იმპერიის წინაშე და სხ. სენატის წევრი პასუხის მგებელია სახელმწიფოს წინაშე, როცა მისი მოქმედება არღვევს კანონს და კონსტიციას.

სენატის წევრის თანამდებობასთან **შეუთავსებელია ყოველივე სხვა სახელმწიფო თანამდებობა;** შეუთავსებელია აგრეთვე ნაფიცი ვექილის და ნოტარიუსის წოდება. სხვა პროფესია შესათავსებელია, თუ იგი სენატის წევრის თანამდებობის ასრულებას ხელს არ აფერხებს. კომერციულ და სამრეწველო დაწესებულებაში მონაწილეობა შესაძლებელია სენატის განსაკუთრებული ნებართვით.

მოქალაქეთა კომიტეტს, 20 კაცისაგან შემდგარს, ირჩევს თავის წრიდან მოქალაქეთა პალატა. კომიტეტის უფლება და მოვალეობაა—მიიღოს არაჩვეულებრივი ხარჯები და სხვა მცირე მნიშვნელობის საკანონმდებლო დადგენილებანი, (რომელთაც შემდეგ ამტკიცებს პალატა), დაიცვას კონსტიტუცია და სხვა.

სენატი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ასრულებს თავის მოვალეობას კომისრების საშუალებით. სენატი და კომისრები პასუხისმგებლები არიან პალატის წინაშე. განსაზღვრულ ფორმით და პირობით სენატსა და პალატის შორის უთანხმოების ასაცილებლად ირჩევიან დეპუტაციები და კომისიები შეერთებულ სხდომაზედ.

კონსტიტუციის გადასაშინჯავად საჭიროა დადგენილება პალატის წევრთა $^{3}/_{4}$-ის თანადასწრებით $^{3}/_{4}$-დის უმრავლესობით. ეს დადგენილება ხელმეორედ 21 დღის შემდეგ უნდა დაამტკიცოს პალატამ წევრთა $^{3}/_{4}$-დის თანადასწრებით და $^{3}/_{4}$-დის უმრავლესობით.

ფართო უფლებები აქვს კომუნალურ თვითმართველობას.

ახალი კონსტიტუცია ჰამბურგისა ჯერ ჩვენ არ ვიცით. მაგრამ აშკარაა მისი რესპუბლიკანური წყობილება რევოლიუციის და გერმანიის საერთო კონსტიტუციის მიღების შემდეგ გაცილებით უფრო რესპუბლიკანური და დემოკრატიული შეიქნება

ავსტრია.

აქნამდე ავსტრია და უნგრეთი პრაგმატიული სანქციის (1713 წ.) და ცისლეიტანიის და უნგრეთის კანონთა (1867 წ.) ძალით გაერთიანებული იყვნენ **რეალური უნიით ჰაბსბურგთა გვირგვინის ქვეშ.** ავსტრიის იმპერია იგივე ავსტრო-უნგრეთის იმპერია იყო და ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის სამოციქულო მეფედაც იწოდებოდა. იმპერიის ორივე ნაწილი სრულს ავტონომიას სარგებლობდა, ჰქონდათ თავის პარლამენტები და მთავრობები. **გამოყოფილი იყო მხოლოდ დიპლომატიური, სამხედრო, საზღვაო და ფინანსიური საქმეები, რომელთაც უძღვება ორი დელეგაცია,** თითეულში სამოც სამოცი წევრი, არჩეული ორივე ნაწილის პარლამენტებისაგან. დელეგაციები რიგ-რიგობით იკრიბებოდენ ვენაში და ბუდაპესტში. იყო საერთო საიმპერიო სამინისტრო, რომელიც შუამავლობდა იმპერატორსა და დელეგაციათა შორის.

ეს დუალისტური მონარქია დაირღვა. უნგრეთი სულ ცალკე წავიდა. ხოლო ავსტრიას ჩამოცილდენ ჰაბსბურგების უღელ ქვეშ მგმინავი დამორჩილებული ერები, რომელთაგან ზოგმა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფო შექმნა, ზოგი კი თავის მოძმე მეზობლებს, უკვე გახელმწიფოებრივ ერთეულებს შეუერთდა.

ავსტრია ძველი კონსტიტუციით (1876 წლის) იყო **კონსტიტუციური მონარქია.** იმპერატორი უპასუხისმგებლო იყო. ითხოვდა საკანონმდებლო პალატებს. ნიშნავდა ზედა პალატის მუდმივ და მემკვიდრეობითი წევრებს და მის თავმჯდომარეს. იწვევდა და ითხოვდა მინისტრებს და სხ.

აღიარებული იყო თავისუფლება პიროვნების. **თანასწორობა ერთა** დეკლარატიულად იყო გამოცხადებული. ზოგიერთი პროვინციები სარგებლობდნენ შეკვეცილ, მოჩვენებითი ავტონომიას.

იყო ორი პალატა: ქვედა—დეპუტატთა პალატა და ზედა—ბატონთა პალატა. მათი საერთო სახელი **რეიხსრატი.** არსებობდა დეპუტატთა შეუვალობა. სახელმწიფო და ეკლესია განუყოფელნი იყვნენ. მინისტრები პასუხს აგებენ. პარლამენტარიზმი არ იყო. კონსტიტუციის გადასინჯვას უნდა მიმხრობოდა ორივე პალატის ორი მესამედი. თვითმართველობას საკუთარი უფლებები არ გააჩნდა.

ასეთი იყო მისი კონსტიტუცია. დღეს ავსტრიაში, რომელიც ტერიტორიით და ხალხით ძალიან შემცირდა, რომელიც თითქმის მარტო გერმანელებს შეიცავს, **ნაციონალური კრება** არის მოწვეული. რესპუბლიკა გამოცხადებული. რესპუბლიკანური კონსტიტუცია ჯერ არ მიუღიათ. არის შემუშავებული მხოლოდ პროექტი კონსტიტუციისა.

ამ პროექტის აზრით ერთპალატიანი **პარლამენტია. პარლამენტის თავმჯდომარე ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტია.** იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც ადგენს მთავრობას. პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის.

უნდა ითქვას, რომ ავსტრიის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწენი მომხრენი არიან ავსტრიის გერმანიასთან გაერთიანების. ამ პროგრამას იცავს ავსტრიის ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც ფრაქციებად არ დაქუცმაცებულა და მთლიანად გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზედ. გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან უფრო რეაქციონური და კლერიკალური ელემენტები.

შეერთების საკითხი მწვავედ და პრაქტიკულად სდგას თვით გერმანიაში. ეს სხვათაშორის იქიდან სჩანს, რომ გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუციამაც აღნიშნა შემდეგნაირათ:

„გერმანიის ავსტრიას ეძლევა უფლება—გერმანიის რესპუბლიკასთან შეერთების შემდეგ—მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის საბჭოში მისი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. მანამდე გერმანიის ავსტრიის წარმომადგენლებს აქვთ სათათბირო ხმა“ (მუხლი 61).

ასეთია გერმანიის კონსტიტუციური სურვილი. მაგრამ ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ ეს არ შეიწყნარა და მუხლი ავსტრიის შესახებ გერმანიას ამოაშლევინა კონსტიტუციიდან. მაშასადამე ავსტრია ჯერ-ჯერობით, ვიდრე ვერსალი ბატონობს, თავის ამარა რჩება და იძულებული ხდება საკუთარი ძალღონით განამტკიცოს თავისი რესპუბლიკანური წყობილება.

ნ. საქარელი

---

*) ვინაიდან **შეთავსება შეუთავსებლობის საკითხი** ამ ბოლო დროს დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ჩვენს პოლიტიკურ და პარტიულ წრეებში, გადავწყვიტეთ გაკვრით მოვიხსენიოთ ხოლმე იგი, სადაც კი შევხვდება კონსტიტუციებში.

რი კავშირთა საბჭო მოგესალმებათ თქვენ, მუშათა კლასის ინტერესების დამცველს, სოციალიზმის მოციქულს. საბჭოს ღრმად სწამს, რომ მუშათა კლასი ივლის თქვენ მიერ ნაჩვენებ გზით. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს პროლეტარიატის საკეთილდღეოთ, ჩვენო დიდო მასწავლებელო!

თავმჯდომარე კოპალაძე.

ოზურგეთი. საქ. სოც. დემ. მუშ. პარ. გურიის სამაზრო კომიტეტი დიდი სიხარულით ეგებება ინტერნაციონალის ბელადის, მარქსის ღირსეული მემკვიდრის კაუცკის ჩვენს რესპუბლიკაში მობრძანებას. გილოცავთ რა ამ ჩვენთვის ისტორიულ მოვლენას, თქვენთან ერთად აღტაცებით შევძახებთ: გაუმარჯოს მშრომელთა უბადლო მოძღვარს კაუცკის! გაუმარჯოს სოციალიზმს!

გურიის სამაზრო კომიტეტი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის, დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის და ყველა ხელმძღვანელ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა. ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებენ ნ. ჟორდანია და ნ. ხომერიკი.

◆ **სვანეთის განიარაღება.** მთავრობის თავმჯდომარემ, მოისმინა რა სვანეთისა და ლეჩხუმის საგანგებო რწმუნებულის რ. ყიფიანის მოხსენება სვანეთის განიარაღების შესახებ, საჭიროდ დაინახა ულრმესი მადლობა გამოეცხადებინა ყველა იმათთვის, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ განიარაღებაში პირადი შრომით, რჩევით და საქმის ხელმძღვანელობით; მთავრობის თავმჯდომარეს ფრიად საყურადღებოდ მიაჩნია განსაკუთრებით ის, რომ ასეთი რთული და პასუხსაგები საქმე, როგორიც არის ამა თუ იმ კუთხის განიარაღება, დამთავრდა სრულიად მშვიდობიანათ; ეს მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ განიარაღების საქმეში აქტიურ მომუშავეებს, სახელდობრ, განიარაღების ხელმძღვანელ კომისიას ლეჩხუმის სამაზრო ერობას, ლეჩხუმის გვარდიის და აგრეთვე სვანეთის მილიციას და მისს უფროსს ბატონ გაბლიანს დიდი დაბრკოლებების ძლევა მოუხდათ. ამ ორგანოთა შეთანხმებული და ენერგიული მოქმედება თავდებია, მთავრობის თავმჯდომარის აზრით, მშრომელ დემოკრატიის მტკიცე სახელმწიფოებრივ ნებისა და საქართველოს დიდ ცივილიზაციის გამოსაკვეთად.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი.** აგვისტოში მიღებულ და გადაგზავნილ იქნა (მათ რიცხვში ბანდეროლური და პერიოდული გამოცემანი) 984,649. ივლისის თვესთან შედარებით გადაგზავნილ იქნა 60,254 წერილით მეტი, შეკვეთილი წერილი კი 42,477 გადაგზავნილა.

◆ **მთავრობაში.** მთავრობამ 9 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა: ა. წ. 6 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში, გარეშე პირთა თანდასწრებით გამართულ ოფიციალურ თათბირის დროს, საზოგადოება „ჩემო"-ს წარმომადგენელმა—კონსტანტინე თუმანიშვილმა დასწამა მთავ. თავმჯდომარეს კერძო პირის ინტერესების დაცვა წინააღმდეგ სახელმწიფოისა. მთავრობამ, დაინახა რა ბ-ნ თუმანიშვილის საქციელში მთავრობის თავმჯდომარის შეურაცყოფა, ამავე სხდომის დადგენილებით მიუსაჯა თუმანიშვილს ექვსი თვის ვადით ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრება.

◆ **პურის მიწოდება მუშებისათვის.** ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ ტექნიკურ ზედამხედველობის აგენტებისათვის მთელი რიგი ინსტრუქციებისა დაამუშავა. ინსტრუქციების მიზანია წისქვილების მუშაობის ნაყოფიერების გაზრდა, რათა მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის პურის მიწოდების საქმე გაუმჯობესდეს. ინსტრუქციები ვალდებულად ხდიან ტექნიკურ ზედამხედველობის აგენტებს თვალყური ადევნონ და არ შეაჩერონ წისქვილების მუშაობა. მათვე ევალებათ გამოფხიზლებულ ზომების მიღება, რომ წისქვილის მუშაობა არ შეწყდეს. აგენტებმა უნდა ადევნონ თვალყური რათა წისქვილებზე არ დაიფქვას გაუწმენდელი ხორბალი და სხვა.

◆ **ბინათა განყოფილების რეორგანიზაცია.** ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილებას რეორგანიზაცია უყვეს. მისი მოქმედებში ახალი გეგმა არის შემუშავებული. თანახმად გეგმისა კერძო ბინის დათვალიერება გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერებით შეიძლება. უორდეროთ არავის არ აქვს უფლება ბინის დათვალიერებისა. სარევიზიო კომისია ისპობა. ბინების დასათვალიერებლად არსდება საგანგებო აგენტების თანამდებობანი, რომლის რიცხვის აყვანა შეიძლება 5-მდე. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მიმართოს მილიციის უფროსს წინადადებით, რათა მან მიიღოს ზომები, რომ ქალაქის საბჭოს განკარგულებანი ბინის საკითხის შესახებ დაუყონებლივ იქნეს მოყვანილი სისრულეში სარაიონო კომისრების მიერ.

◆ **შრომის სამინისტროში.** პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა შრომის სამინისტროს მიმართა შეკითხვით: რა ზომებია მიღებული სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციასა და მოხელეს შორის უთანხმოება რომ მომრიგებელ კამერაში არჩეოდეს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმეებთან ერთადო. შრომის სამინისტროს სეკრეტარიატმა განუმარტა, რომ დამფუძნებელი კრების დადგენილებით ასეთ საქმეს იხილავს შრომის სასამართლოები და მის დაარსებამდე კი სამომრიგებლო სასამართლოები.

◆ **ქალაქ თფილისის მასწავლებელთა საყურადღებოდ.** ა. წ. 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ქალთა პირველ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ქალ. თფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შეერთებული კრება. კრება მეორედაა მოწვეული და ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო.

◆ **სოხუმიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „სოხუმის პროფესიონალურ კავშირთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს მუშათა დელეგაციის რუსეთში შესვლის აკრძალვის შესახებ, გამოსთქვამს თავის ღრმეს გულის წყრომას საბჭოთა მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელმაც საშვალება მოუსპო საქართველოს პროლეტარიატს გასცნობოდა თავის მოძმე რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობას. კრება სავსებით იწონებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირების აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილებას ოცდაერთ სექტემბრის თარიღით რუსეთის პროლეტარიატთან უშუალოთ დაკავშირებულობის აღდგენის შესახებ და სიამოვნებით მიეგებება რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლების ჩამოსვლას საქართველოში, რომლის ხელშეუხებლობის გარანტია დაცულ იქნება საქართველოს მუშათა კლასის მიერ.

კრების თავმჯდომარე გახო ნოდია.

◆ **ყრილობა.** 30 ოქტომბერს ქ. სენაკში დანიშნულია სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეოთხე ყრილობა.

◆ **კვირას,** 31 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია წ. კ. გ. საზ. თფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1) მოხსენება წ. კ. გამავრც. საზოგადოების მთავარ-გამგეობისა საზოგადოების თფილისის განყოფილების მდგომარეობის შესახებ. 2) არჩევნები განყოფილების ახალ წევრებისა. 3) არჩევნები განყოფილების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები 1) ი. ელიაშვილი—დედა-ბუნების ძირითადი კანონები. 2) ს. იაშვილი—მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა—მეორე ნაწილი—ბოტანიკა. 3) ალ. წერეთელი: მსოფლიო ისტორია—დაწყებით. კურსი ნაწილი 1-ძველ საუკუნეთა ისტორია. 4) ალ. წერეთელი—მსოფლიო ისტორია. ნაწილი მე-2-ე საშუალო საუკ. ისტორია. 5) პროფ. ს. ავალიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (მე XVI—XVIII-საუკ.).

◆ **წერილები ვარშავიდან.** რედაქციამ მიიღო ვარშავიდან გამოგზავნილი შემდეგ პირთა წერილები: მარიამ პეტრეს ასული ურგევიჩისა, ლიუდოვიკ დომანსკისა, პავლე საყვარელიძისა, ალექსი პეტრესძე ივანოვი—ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძისა, ალექსანდრე ბარათოვისა, სონა ივანეს ასული დავიდოვისა.

◆ **ვიპოვე ქალის ლიჩაქი.** პატრონს შეუძლია მოიკითხოს „ერთობის" რედაქციაში. ბ. ალშიბაია.

◆ **შეცდომის გასწორება:** გ. ც—შვილის წერილში მატყლის მონოპოლიის შესახებ დაბეჭდილია: მატყლის „თვით ღირება" ნაანგარიშევია 2000 მან. ფუთი (და იგი ხარჯი რაც მეცხვარეს ფუთზე მოუვიდა), გარდა ამისა და სხვა. უნდა იყოს დაბეჭდილი გარდა ამისა.

წერილში პარიკმახერთა ცხოვრებიდან დაბეჭდილია: არ იხდიან 20%. უნდა იყოს—2% —ს.

კრებები.

დღეს, შუადღის 3 საათზე ორთაჭალის მთავარ კლუბში მეექვსე რაიონის მცირე კოლექტივი იწვევს თავის წევრების პარტიულ სხდომას, სადაც ამხ. კოწია გვარჯალაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუშათა მოძრაობა ევროპაში"

პროვინციის ქრონიკა.

თიანეთი. ოქტომბრის 11. ერობის თავმჯდომარე ხუფენია დეპ. სააგენტოს დეპეშით აუწყებს: ოქტომბრის 11, სოფელ ჯულეთში სამაზრო მილიციამ და სახალხო გვარდიამ მილიციის უფროსის ხელმძღვანელობით დაიჭირა ცნობილი ყაჩაღები: არაბული, კროიშვილი და შანშიაშვილი. (სდს).

◆ ახალციხე. ოქტომბრის 9. ოქტომბრის 7 ახალციხეს მოვიდა პაპის დელეგატი გაბრიელ მარიონდო. მარიონდოს გადაწყვეტილი აქვს ზედმიწევნით გაეცნოს ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებას.

— ახალციხე-ახალქალაქის თავი ზორაიანი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

— ახალციხის მაზრის მილიცია ერობის ხელში გადავიდა. ადმინისტრაციის საქმეს განაგებს შ. მაღლაკელიძე. ის უკვე შეუდგა მაზრის მილიციის რეორგანიზაციას.

— მჟავდეულების სიმრავლის გამო ახალციხეში ქართოფილი ძლიერ გაძვირდა.

შინაგ. საქმ. სამინისტროში

1) ბათომის ოლქის მილიციის უფროსს, 2) თფილისის ქალაქის მილიციის უფროსს, 3) თფილისის ქალაქის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს და 4) განსაკუთრებული რაზმის უფროსს.

თანახმად უცხო ვალიუტის ოპერაციის მოწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიერ ამა წლის 16 ენკენისთვეს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციის წარმოება მინდობილი აქვს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის კონტროლის ქვეშ და მისი ინსტრუქციების თანახმად:

1) კავკასიის ბანკს, 2) ვაჭართა ბანკს, 3) ამიერ-კავკასიის ბანკს, 4) ევროპიულ ბანკს, 5) ცენტრო-ბანკს, 6) ფრიდონოვის საბანკო კანტორას, 7) აზოვ-დონის ბანკის თფილისის განყოფილებას, 8) ვოლგა-კამის ბანკის თფილისის განყ., 9) საერთაშორისო ბანკის თფილისის განყოფილებას, 10) იტალო-კავკასიის ბანკის თფილ. განყოფილებას და 11) კოოპერატიულ ბანკს.

ის პირები, რომლებსაც ზემო დასახელებულ ბანკთან აქვთ საქმე, თავისუფალნი არიან სავალიუტო ოპერაციების წარმოებაში, ხოლო ჩემდამი მოსულ ცნობებით არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი კერძო პირთა, რომელნიც გარეშე ხსენებულ ბანკებისა მალულად აწარმოებენ სავალიუტო ოპერაციებს. გიბრძანებთ—მიიღოთ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, დამნაშავენი დააპატიმროთ, ჩაატაროთ ჩხრეკა და ოქმი წარმომიდგინოთ მე.

მინისტრის ამხ. ქიქინაძე.

რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქ. თფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს.

სამხედრო მიმღებ კომისიების წევრების დღიურათ დაკმაყოფილების საკითხის გადასაჭრელად შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ კომისიის მიერ იყო გათვალისწინებული შემდეგი: 1) საჭიროდ უნდა იყოს ცნობილი დღიურად დაკმაყოფილება მიმღებ კომისიის თავმჯდომარის, ყველა წევრების, ექიმების და ერობათა გამგეობების საქმის მწარმოებლის, გარდა სამხედრო უწყების პირთა და სამხედრო ექიმებისა. 2) დაკმაყოფილებულ უნდა იყვნენ დღიურად მხოლოდ ის წევრები, რომელნიც მონაწილეობენ დიდ კომისიებში და იმ მცირე კომისიებში, რომელნიც არის მოხსენებული სამხედრო სამინისტროს № 31 დასტურლამის მე-3-ე მუხლის 3 განყოფილებაში. 3) ყველა აღნიშნულ პირთათვის დღიური ფული გაცემულ უნდა იყოს მობილიზაციის დროს იმ თანხებიდან, რომელთაც ერობები იღებენ სამხედრო საჭიროებისათვის. გატყობინებთ რა ამას გთხოვთ გვაცნობოთ, მოგეპოებათ თუ არა ზემოხსენებულ კრედიტიდან თავისუფალი თანხა. დადებითი შემთხვევაში რამდენი დასჭირდება ყველა წევრებს დასაკმაყოფილებლად, თუ მივიღეთ 300 მან. დღიურ ჯილდოთ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქიქინაძე.

საქართველოს რკინის გზების ელექტროფიკაცია

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში წარმოდგენილია პროექტი ხაშურის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს რკინის გზის შტოების ელექტროფიკაციის შესახებ. ამ მიზნისათვის განზრახულია აღმოსავლეთ საქართველოში არსებული მთელი ჰიდრავლიური ენერგიის რაციონალურად გამოყენება. გზების ელექტროფიკაციის შემდეგ მთელი გზას თბილისიდან მცხეთამდე გასავლელად და უკან დასაბრუნებლად საბარგო მატარებელს მოუნდება 68 წუთი, სამგზავრო მატარებელს 40 წუთი. თფილის-ხაშურის რაიონს შეუძლია გაუშვას 14 წყვილი საბარგო, და 7 წყვილი სამგზავრო მატარებელი. ასაქცევთა გამრავლების და ჰიდრო-ელექტრონულ ძალის მომატების შემდეგ შესაძლებელი იქნება 30 წყვილი მატარებლის გაშვება. შემდეგ მოხსენება ეხება კახეთის რკინის გზის ელექტროფიკაციას, რომლის განხორციელებაც 1926 წლამდე შეიძლება. კახეთის რკინის გზის სამართველომ წლიურად ბარგის მოძრაობა 12 მილ. ფუთით განსაზღვრა. ამისდა მიხედვით მოხსენებაში გამოთქმულია სურვილი 10 წყვილ მატარებლის მიმოსვლის დაწესების შესახებ, რაც სავსებით დააკმაყოფილებს გზების საჭიროებას. ხმარებაში შემოღებული იქნება მოტორიანი ვაგონები, რომელიც დაიტევს 70 მგზავრს და რომლის წონაც 40 ტონი იქნება. ელექტრონის ენერგიის მოსაწოდებლად მდ. ხრამზე ან დიბედა-ჩაიზე ჰიდრო-ელექტრონული სადგური უნდა მოეწყოს. ეს სადგური ენერგიას თფილის-სანაინის და თფილის-ფოთის ხაზს მიაწოდებს. თფილის-მულანის ხაზს კი ენერგიას იორზე აგებული ელექტრონული სადგური მიაწოდებს. წიწამურის ჰიდრო-ელექტრონის სადგურმა ენერგია თფილის-ხაშურის რკინის ხაზს უნდა მიაწოდოს. კახეთის რკინის გზას ენერგიას ალაზანის სადგური მიაწოდებს. პროექტი განმარტებით ბარათში შემდეგი მოსაზრებით არის დასაბუთებული: საქართველოში არ არის ნავთის წარმოება. ცუდია აგრეთვე ნახშირის ღირსება, ამიტომ ისმება საკითხი დიდძალი წყლის ენერგიის თეთრი ნახშირის გამოყენების. თეთრი ნახშირით მდიდრად არის დაჯილდოვებული საქართველო. ამ საკითხს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გზათა ელექტროფიკაციის საკითხს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტში საგანგებოდ განიხილავენ. (სდს).

გაზეთი „საქართველო" და მომარაგების სამინისტრო *)

„საქართველო", როგორც ზევით დავინახეთ, არც ობიექტიურობას იჩენს და მასთან ერთად თვალებზე ჩადრს იფარებს სინამდვილესთან შეხების დროს. ეს მისთვის საჭიროა, მაგრამ დაე მან განაგრძოს „მხილება" (ასეთივე გზით, როგორიც მას ჩვევია. ჩვენ კი შეძლებისდა გვარათ განვაგრძობთ სინამდვილის გაშუქებას, ისე როგორც არის ის. ჩვენი მიზანია ამ შემთხვევაში ფაქტის სინამდვილე და მათი ცხოვრების პირობებთან შეგუების შეფასება. რაც შეეხება იმას, ვითომც „ბ ნი ენი ღირსეულ პასუხს მიიღებდა ალ. ასათიანის და სპირიდონ კედიას სიტყვებიდან შესახებ მონოპოლიებისა",—ამაზე „საქართველოს" უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენი აზრით ბ. ბ. ასათიანმა და კედიამაც თავის დროზე მიიღეს ღირსეული და დამაკმაყოფილებელი პასუხები თავიანთ შეკითხვებზე, თუ კითხვებზე. რა თქმა უნდა, ეს პასუხი თქვენ არ დაგაკმაყოფილებდათ, მაგრამ ბურჟუაზიის იდეოლოგები აბა როდის კმაყოფილდებიან სოციალისტურ და დემოკრატიულ ეკონომიურ აღმშენებლობითი პრაგრამით ან მუშაობით. ეს კითხვა მსოფლმხედველობის კითხვაა. ჩვენი მიზანი კი ამ შემთხვევაში არ არის ორი მსოფლ-მხედველობის ერთმანეთის დაპირისპირება, კითხვის თუ რომელი კლასის იდეოლოგია არის მართალი ან დასაწუნი. ჩვენი დღევანდელი მიზანია შეძლების და გვარათ შევაფასოთ თქვენ მიერ აღნუსხული ფაქტები, შევეხოთ მათ ობიექტიურათ, თუ რამდენათ ისინი შეეხებიან სინამდვილეს, რა ფასი აქვთ საზოგადოებისათვის თქვენ მიერ მოყვანილ ფაქტებს, რამდენათ გაამართლა იმედები დემოკრატიისა იმ სამინისტრომ, რომელსაც სათავეში „კოოპერატივის ნოქრები" უდგანან, რის გაკეთება შეიძლებოდა და ან რა გააკეთეთ თქვენ. „საქართველომ" აღმოაჩინა, რომ თურმე „ერობის პურის ოპერაციის ჩვენთვის მილიონების ზარალი მოაქვს, მაგრამ ეს სოციალისტური კომერციაა". ევრიკა! ევრიკა!—შეუძლია ამის შესახებ წამოიძახოს „საქართველომ". თუ ისტორიის წარსულში არხიმედს ჰქონდა უფლება ამ სიტყვების წამოძახებისა, მით უფრო ღირსეულად უნდა მივაკუთვნოთ „საქართველოს" მწერალს, რომელმაც აღმოაჩინა აქნობამდე ალბათ ყველასათვის უხილავი ჭეშმარიტება, რომ თურმე მომარაგების სამინისტრო პურს ყიდულობს მეტს ფასებში ვიდრე აწვდის მუშა-მოსამსახურეთ. ეს შეიძლება ავტორს აქამდე არ სცოდნია, მაგრამ მით უარესი პუბლიცისტისათვის, რადგან მის გარდა სხვამ ეს ყველამ იცოდა. და ამას სჩადის სახელმწიფო და არა მომარაგების სამინისტრო, სრულიად შეგნებულად ეს იცოდა თვით დამფუძნებელმა კრებამ, როდესაც პირველად 50.000.000 მანეთი გადასდო ამ საქმისათვის. თუ რატომ სჩადის ამას სახელმწიფო, ეს თვით „საქართველომ" კარგათ იცის, მაგრამ მ გაზეთის კომერცია ხომ მარტო მოგების და ჯიბის გასქელების და ხალხის ძარცვის კომერციაა. მხოლოდ სოციალისტების კომერციის მიზანი კი მუშების უზრუნველყოფაა. რა ვქნათ, რომ ეს ასეა.

მაშ რატომ იდგამს „საქართველოს" ავტორი წელებზე ფეხებს? აკი საფრანგეთი და იტალია მისდევენ ასეთ კომერციას პურის საკითხში და როგორ ფიქრობს ავტორი—ეს ფაქტი საფრანგეთის და იტალიის საძრახისათ უნდა ჩაითვალოს თუ არა? და თუ ეს საფრანგეთ-იტალიისათვის არ არის დასაძრახი, მაშ რა დაამავა ჩვენმა ქვეყანამ? მაგრამ საკითხი, მკითხველო, იმაშია, რომ საფრანგეთში და იტალიაში არსებული წესები „საქართველოისტების" ჯიბეებს პირდაპირ არ ხვდება, მხოლოდ საქართველოს წესები კი უფრო რკენ მათ ხელებს ალვირაწსნილ სპეკულიაციაში და მათი უკმაყოფილება იქამდეც კი მიდის, რომ მუშა-მოსამსახურეთა ულუფაზე ფასების დაწესების მოითხოვენ. პურის ოპერაციების, ამ მთავარ საძირკველის არსებობისას სახელმწიფოებრივ ეკონომიური თვალსაზრისით ზარალი არ მოაქვს. ეს ყველამ იცის. იცის „საქართველომაც", ვინაიდან ასეთი გეგმის მიხედვით ხდება ერთნაირი გათანასწორება ხელფასისა, რითაც რამდენჯერმე მეტათ ნაზღაურდება ის პირდაპირი ზარალი, რომელიც ხდება პურის ოპერაციებიდან. ამ მხრივაც მომარაგების სამინისტრო სწორეთ მისთვის არის მოწოდებული და კიდევაც ამ გზაზე მუშაობს, რომ სათანადო და მიზან შეწონილ ოპერაციების წარმოებით სხვა საქონლებითაც სახელმწიფო სალაროს შეუმსუბუქოს მდგომარეობა პურის და პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებით დაბალ ფასებში მუშა მოსამსახურეთათვის. რა იქნებოდა მომარაგების სამინისტრო ან ვის გარდა „საქართველოისა", შეეძლებოდა გაემართლებინა თვით სამინისტროს არსებობა და მიზანი, თუ ის „საქართველოს" მიერ ნაკარნახევ გზას გაჰყვებოდა; ე. ი. თუ ბაზრის ფასებში მიაწვდიდა სხვა მუშა-მოსამსახურეთ. თვით ბურჟუაზიის აპოლოგეტებიც რას იტყოდნენ მაშინ? მაშინ ხომ წინააღმდეგ პოზიციებიდან მოგიხდებოდათ ისრების მიმართვა. **ენი.**

უცხოეთი

ბელგია.

საფრანგეთის ზეგავლენა.

ჰოლანდიის საინფორმაციო ბიურო შემდეგ ცნობას იძლევა: გაზეთ „სტანდარტში" ერთ დიპლომატისაგან გაიგო, რომ ბელგიის მინისტრ-პრეზიდენტს დელაკრუას ხელთ არის საფრანგეთ-ბელგიის ურთიერთობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის გამოქვეყნება დელაკრუას ყველა მოწინააღმდეგეებს იძულებულს გახდის გაჩუმდნენ. მაგრამ არ სურთ ამ დოკუმენტის გამოქვეყნება, რადგანაც ეს გარემოება გამოიწვევდა ბელგიაში დიდის აურზაურს. დოკუმენტი დაამტკიცებდა, რომ ბელგიამ განიცადა ძლიერი ზეგავლენა, რომელმაც არ მისცა მას საშუალება თავიდან აეცილებინა საფრანგეთთან სამხედრო ხელშეკრულება.

შაქრის მოხმარება კუბაში.

კუნძული კუბა (ამერიკაშია) ცნობილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. მიწა მეტად ნაყოფიერია და ამ საზოგადო აღრევის დროს ინტენსიურ მუშაობის წყალობით მოსავალი თანდათან მატულობს. რუსეთის შაქრის მსოფლიო ბაზარზე გაქრობის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შაქრის წარმოებას და თვალსაჩინოდაც გაიზარდა იგი. „ჰავანის" სიგარასთან ერთად შაქარი გადიქცა ექსპორტის უმთავრეს საგნად.

ვიმოწმოთ ციფრები.

1900 წელს დაუმზადებიათ 300.000 ტონა შაქარი, ხოლო ომის დროს კი:

	გაუტანიათ ტონა (60 ფ.)	ღირებული დოლარი *)
1917 წ. .	2.896.148	322.368.576
1918 წ. .	3 210.754	324.937.179
1919 წ. .	3.825.239	471 269.445

გაუტანიათ—1919 წელს:

შეერთებულ შტატებში	2.929.335 ტონა
კანადაში	81.996 „
ისპანიაში	27.374 „
მექსიკაში	1.127 „
ჩრდილო ამერიკაში .	130 „
ევროპაში	785.277 „
სულ . ,	3.825.239 ტონა.

წლევანდელი მოსავალი კი ნავარაუდევია 4.200.000 ტონამდე და შეფასებულია 940.000.000 დოლარად (ჩვენი ფულით 500 მილიარდ მანეთზე მეტად).

კუნძული კუბა საქართველოზე დიდი არ არის.

ბერძნული გაზეთი საქართველოს შესახებ. სტამბოლის ბერძნული გაზ. „პროდოსი" საქართველოს შესახებ 18 ენკენისთვის ნომერში სწერს: „კავკასიაში საქართველო ცნობილია როგორც ძველი კულტურული სახელმწიფო. მას ერთი საუკუნე ქონდა დაკარგული დამოუკიდებლობა რაც უკვე დაიბრუნა. საქართველოში მშვენიერი წყობილება დაუმკვიდრებიათ დღევანდელ მმართველებს და იმ დროს, როცა დიდი სახელმწიფონი რყევაში არიან, საქართველოში ძლიერი ნების ყოფით გრძელდება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. საქართველოს არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიაში, როგორც სახელმწიფოებრივ ელემენტს.

იგი კულტურული რესპუბლიკაა ბნელ აზიის შესავალში და მას როგორც ევროპამ, ის საბერძნეთმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს".

შრომის სამინისტროს განცხადება.

შრომის სამინისტრო აცხადებს საზოგადო და კერძო დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 3,000 მან. გადასახადი შემოტანა თითოეულ მუშა-მოსამსახურეზე მუშათა მაგიდის დეფიციტის დასაფარავად შემოსულ შუამდგომლობების გამო გადაიდო ამა წლის 15 ოქტომბრამდე. სამინისტრო საჭიროდ სთვლის გააფრთხილოს ყველა მწარმოებლები, რომ ვადის გაგრძელება შემდეგ არ მოხდება არავითარ შუამდგომლობით და 15 ამ თვეს ფულის შეუტანლობა გამოიწვევს პურის მიცემის შეწყვეტას.

დაიჩქარეთ!

ზამთარი დგება. ბინის საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. მუშების უმეტესი ნაწილი უბინაოთ არის დარჩენილი და შველას მოელის. მე არ მინდა საერთოთ შევეხო მუშების დღევანდელ ეკონომიურ გაჭირვებას, მხოლოდ თუ ამ გაჭირვებას ზედ უბინაობაც დაერთო, მაშინ მუშათა მდგომარეობა მართლაც აუტანელი შეიქნება და იძულებული შეიქნებიან ზოგიერთი უბინაოთ დარჩენილი მუშები, დასტოვონ თფილისი.

ამ საკითხის მოწესრიგება არც ისე ძნელია, მხოლოდ უნდა სათანადო ენერგიის და სიმტკიცის გამოჩენა. საბინაო განყოფილება ამაზე ძალიან სუსტობს და უუნარობას იჩენს. ამას წინათ გაზ. „სლოვო"-ში მეოთხე გვერდზედ განცხადების სახით იყო მოთავსებული შემდეგი სტრიქონები: „გადაეცემა ოთხი ოთახი. ფასზე მოლაპარაკება შეიძლება ამა და ამ ადგილას". ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება? და თუ მიექცევა, როდის? ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხს მიაქცევენ სათანადო ყურადღებას სადაც ჯერ არს და გადაჭრიან ბინის საკითხს ისე, როგორც ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები. მხოლოდ საჭიროა დაჩქარება.

მუშა ალ. ე-ძე.

ქალაქის საბჭოში.

ქალაქის საბჭომ მოისმინა გამგეობის წევრის ზ. ელიაძის შემდეგი მოხსენება: ქალაქის საბინაო საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია შემდეგი სახით:

1. მოქალაქეთა იძულებითი გადასახლება სახლებიდან აკრძალულია. შენიშვნა: პირველი მუხლი არ შეეხება იმ მოქალაქეთა ბინებს, რომელნიც საჭირო იქნებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის. 2. ბინები, რომელნიც განთავისუფლების თანავე გადადიოდა ქალაქის გამგეობის განკარგულებაში და იბეჭდებოდა, დღეიდან ანგარიშიდან იხსნება და ბრუნდება მეპატრონეთა განკარგულებაში. 3. ბინები და ოთახები ბეჭდება ანგარიშში განსაკუთრებული წესით ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე. 4. ბინები და ოთახები მიეცემათ ა) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ, ბ) იმ პასუხისმგებელ თანამდებობის ან სპეციალისტ მუშა მოსამსახურეთ, რომელთაც ქალაქში სრულიად არ აქვთ ბინა, ხოლო მათი ყოფნა ქალაქში აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმისათვის. ასეთი საჭიროება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულ უნდა იქმნას სათანადო უწყების ან დაწესებულების უმაღლეს ორგანოსაგან. მეოთხე მუხლში მოხსენებულ პირთ ბინები მიეცემათ ჩასახლების, შევიწროების წესით, რომლის ნორმებსაც იმუშავებს საბინაო განყოფილება. ქალაქის საბჭომ ეს პროექტი მიიღო.

ხელოვნებისათვის.

ჩვენს პრესაში უკვე აღნიშნული იყო, რომ მომავალი სათეატრო სეზონი თფილისში მეტად მრავალ ფეროვანი იქნება, რადგან ამ ჟამად აქ იმყოფება მრავალი თვალსაჩინო ხელოვანი, როგორც მახატვართა, ისე მუსიკოსთა და სხვა დარგთა წარმომადგენელნი.

ამის გარდა სახელმწიფო საოპერო და სადრამო თეატრებიც ცდილობენ საქმის გაუმჯობესებას: საოპერო ორკესტრი, ხორო, ბალეტი შევსებულია ახალი ძალებით, გადიდებული და ყოველივე ღონეა მიღებული, რომ ეს სამი უმთავრესი ძარღვი საოპერო ხელოვნებისა მხატვრულ სიმაღლეს აღწევდეს. სახელმწიფო თეატრის კომისართან არსებობს სამხატვრო საბჭო კომპეტენტურ პირთაგან შემდგარი. თვით ალ. წუწუნავა უდგას სათავეში რეჟისურას და უნდა აღინიშნოს, რომ ოპერათა სცენაზე დადგმას უკვე შესამჩნევი გაუმჯობესება ემჩნევა, და იმედია ეს საქმე მომავალშიაც მეტს წარმატებას გამოიჩენს.

თუმცა ჯერ დრამის სახელმწიფო თეატრის სეზონი არ გახსნილა, მაგრამ იმედია, რომ აქაც საქმე საინტერესოდ მოეწყობა, ამის თავდებია დასი და რეჟისურა, შემდგარი ქართველ სცენის მოღვაწეთა საუკეთესო ძალთაგან და ის ინტენსიური სამზადისი, რომელსაც სადრამო თეატრი აწარმოებს, აგერ უკვე თითქმის, სამი თვეა.

აღსანიშნავია აგრეთვე სახალხო სახლების (ზუბალაშვილის, პლეხანოვის, მუშტაიდის, მუშათა ცენტრალურ კლუბის თეატრების) სცენის მოყვარეთა წრეების მუშაობაც, რომელთაც სათავეში ხელმძღვანელებად უდგანან დახელოვნებული რეჟისორები.

მაგრამ ყველა ამასთან ერთად, თფილისში სოკოსავით გამრავლდა სხვა და სხვა დარგის თეატრები, რომელთა არსებობა აშკარად ხელს უშლის ზემოაღნიშნულ ხელოვნების დაწესებულებათა მუშაობას და წარმატებას.

ვინც თვალყურს ადევნებს გაზეთების განცხადებებს და ქუჩაში სახლის კედლებზე გაკრულ აჭრელებულ აფიშებს, (რაც სხვათა შორის კანონით აღკრძალულია) ის უსათუოდ განცვიფრებაში მოვიდოდა ჯერ ერთი ამ აფიშების არაჩვეულებრივ სიმრავლით და მათი შინაარსითაც არშინიანი ასოთი, იაფ ფასიანი რეკლამებით არის ეს აფიშები შემკობილი. რამდენი ქაღალდი, რამდენი საღებავი, რამდენი შრომა და ფული იხარჯება ამ აფიშებზე. (აფიშებს ფულს სიახით აკრავენ) ვინ არ გინდათ და სად არ გინდათ მართავს კონცერტს, წარმოდგენას, კაბარეს და სხვ.

არსებობს რაღაც საკონცერტო ბიუროები ვინმე ტარუმოვისა. „1 кавказское концертное бюро" და სხვ. ეს ბიუროები მართავენ კონცერტებს და როგორც „ბორბა"-ში იყო უკვე აღნიშნული, სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ხელოვანნი გაჭირვებას განიცდიან. ბილეთებს დიდ ფასებს ადებენ და ჰონორარს-კი ისეთ მცირეს აძლევენ ხელოვანთ, რომ თითქმის 3/4 შემოსავლისა რჩება კონცერტის მომწყობს.

ეს კიდევ არაფერი. ვინმე **ჩერნოვი** ხალხს იმით იზიდავს თეატრში, რომ თვითონ არის შესაზარად სუქანი აგებულობის ადამიანი და სცენაზე ტაკიმასხარაობს: ხან ქალის ტანისამოსით გამოდის და რას სჩადის—ღმერთმა უწყის! ამ ჩერნოვის თეატრში ფასები სამჯერ მეტია, ვიდრე სახელმწიფო ოპერის ფასები. **„ულაპი ჯიმის"** თეატრი, რომელიც გაიხსნა მელიქ-აზარიანცის სახლში, 3 რიგის წყება სკამებისა ღირს 700 მანეთი და რას აჩვენებენ ამის საფასურს? არაფერს!

ყველაზე უსაშინელესი-კი არის, ეგრედ წოდებული თეატრი „ტივოლი", პლეხანოვის პროსპექტის ბოლოში. ეს დაწესებულება ნამდვილი საროსკიპოა, ამ სიტყვის ყოველგვარ მნიშვნელობით და რათა ჰქვიან მას თეატრი, ეს დღემდის გამოურკვეველია. „ტივოლი" წარმოადგენს უზარმაზარ რესტორანს, აუარებელ ოთახებით, ფართო სცენით. ლოთობა, გარყვნილობა და ყოველივე სისაძაგლე, ადამიანის ღირსების დამამცირებელი, ვისაც უნდა, წავიდეს და ნახოს „ტივოლში". აუწერელი სურათები ხდება ამ, მართლაც, საროსკიპოში!

ჩვენ გვინახავს კაფე-შანტანები საზღვარ-გარეთაც, რუსეთშიაც, მაგრამ, ის რაც არის „ტივოლში", ყველაფერს აღემატება! ჩვენ არა გვსურს შეურაცხვყოთ გაზეთის ფურცლები იმ სურათების აწერით, რაც „ტივოლში" ყოველ საღამოს ხდება. და ყოველივე ეს მაშინ—როცა რესპუბლიკა ეკონომიური კრიზისის წინაშე სდგას. დროა ბოლო მოეღოს ამ გვარ, სპეკულიაციას ხელოვნების სახელით! იხარჯება დრო, ელექტრონის ენერგია, სანოვაგე.

ტივოლში რესტორანიც არის და სხვა. საჭიროა სასწრაფო და სასტიკი ზომები! ილახება წმინდა სახელი ხელოვნებისა! **კონსტ. ანდრონიკაშვილი.**

ს.-დ. პარტიაში

ხაშური. ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტი, ამით აცხადებს, რომ აქ. ბესარიონ ებანოიძემ და სამსონ პაპუნაშვილმა დაკარგეს პარტიული საწევრო წიგნაკი, მიცემული ხაშურის ორგანიზაციიდან, პირველის წიგნაკის

---

*) წინა წერილებში ჩვენ შეცდომით შეგვეპარა უნებლიეთ ერთი გვარი ვეშაპიძე. როგორც გამოვარკვიეთ, ვეშაპიძეს არაფერი საერთო არა ჰქონია ჩემ მიერ მოყვანილ ოპერაციებთან. **ენი.**

*) დოლარი სხვადასხვა დროს წელს ღირდა 11,50—14,50 ფრანგულ ფრანკამდე.

№ 357, ხოლო მეორესი კი № 21., რაც გაბათილებულათ ითვლება.

ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზ. კომიტეტი.

სამურზაყანოს მაზრა. დ. გალში დღის 26 სექ. შესდგა სამურზაყანოს მაზრის სოც. დემ. ორგანიზაციების ყრილობა. ყრილობა თავის თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევს ამხ. მ. ქეცბაიას. მდივნათ კი ამხ. ბაგრატ უჩანეიშვილს. რეგისტრაციის შემდეგ ირკვევა, რომ ყრილობას დაესწრო (თვრამეტი საზოგადოების კოლექტივიდან) 14 კოლექტივის წარმომადგენლები. სახელდობრ შემდეგი საზოგადოებებიდან: დ. გალი, მუხური, გუდავა, ჰუბურის ხინჯი, რეჩხი-ცხირი, ცხირო გალი, ოტობაია, ზარღეფი, ოქუმი, ბედია, საბერიონაბაკევი და რეფი-შეშელეთი. 1) მომენტი, 2) აბხაზეთის კონსტიტუციის პროექტის განხილვა. დღიურ წესრიგში დასმულ იქნა შემდეგი საკითხები, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) წვრილი ერობის შემოღება, ა) აბხაზეთის სოც. დემ. პარტიული ყრილობა და იქ დელეგატების არჩევა. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ჯანჯღავა, რომელიც აღნიშნავს საქართველოს გარეშე და შინაურ მდგომარეობას.

მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჯანჯღავასი საქართველოს მდგომარეობის შესახებ, ყრილობა კმაყოფილია მთავრობისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოების მოქმედება-ნაბიჯებით და გადადის მორიგ საკითხზე.

მეორე საკითხის შესახებ ყრილობას მოხსენებს ამხ. ა. ზუხბაია, რომელიც ეხება რა სახელმწიფოს მოწყობის საკითხს, აღნიშნავს ჩვენი პარტიის ტაქტიკას ამ საკითხებში. შემდეგ ეხება აბხაზეთის კონსტიტუციის პროექტს და მას აცნობს ყრილობას. კამათის დაწყებისას ის აღნიშნავს იმ დეფექტებს, რომელიც არის პროექტში და კომიტეტის შესწორებას ზოგიერთ მუხლებში.

ამხ. ჯანჯღავა. „უეჭველი ისეთი საკითხი, რომელიც ხალხს შეეხება და როგორიცაა კონსტიტუციის შემუშავება წინ და წინ განხილული და დამუშავებული უნდა იქნეს ხალხის ფართე წრეებში, რომ ისეთი კონსტიტუცია დაიწეროს, რომელიც სასარგებლო იქნება ხალხისათვის. წარმოდგენილი ავტონომიის კონსტიტუციაში ბევრი დეფექტებია. დამაკმაყოფილებელიც არ არის; მაგრამ ეს ასე არ იქნებოდა, რომ იმ ამხანაგებს, რომელთაც შეიმუშავეს ის, ჩვენთვის ეკითხათ თუ როგორი კონსტიტუცია გვინდოდა ჩვენ. მაგრამ ეს რომ [illegible] ქნეს. არ დაგვეკითხენ ჩვენ და მახინჯი კანონ-პროექტი წარმოგვიდგინეს. ვეკითხავ: რატომ არ გვკითხეს ჩვენ, ჩვენ მიერ აბხაზეთის საბჭოში გაგზავნილმა ამხანაგებმა ასეთი საკითხის გარჩევა. ან რატომ არ არიან ისინი აქ ჩვენს მეტად სერიოზულ ყრილობაზე სამჯერ, რომ დავიბარეთ. ამის შესახებ ჩვენი აზრი უნდა გამოვსთქვათ. ჩემისა და კომიტეტის აზრით პროექტის მუხ. 6 უნდა შესწორდეს ასე: „აბხაზეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენა ქართულია, ამ ენაზევე სწარმოებს საქმის წარმოება და სწავლა-განათლება აბხაზეთში". მუხ. 9 სრულიად ამოიშალოს მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც რესპუბლიკის ჯარის სარდალს უფლება არა აქვს აბხაზეთის ჯარი თავისუფლად გადაიყვანოს რესპუბლიკის ფარგლებში". ამასთანავე უნდა გამოვთქვათ სურვილი, რომ ავტონომიური აბხაზეთის სახელმწიფო ორგანოები გამარტივდეს და აფხაზეთის სახალხო საბჭო კი გადაიქცეს პერიოდულ დაწესებულებად, სადაც წელში განსაზღვრულ რიცხვებში ამორჩეული პირები შეიკრიბებიან და ამ დროში ისინი ღებულობენ გასამრჯელოს და არამცდაარამც სხვა დროს.

ამხ. თ. ზუხბაია. სოხუმელი ამხანაგები მართლაც ცუდათ იქცევიან. ავირჩიეთ აქედან და ამასაც არ კადრულობენ, რომ სერიოზულ საკითხებში ჩვენ დაგვეკითხონ და ამხანაგების საერთო აზრით იხელმძღვანელონ. ან არ ვიცი რას მივაწერო ის მოვლენა, რომ სამჯერ დავიბარეთ და ისინი ჩვენს სამაზრო ყრილობას არ ესწრებიან. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა და მას ბოლო უნდა მოეღოს.

კამათის დასრულების შემდეგ უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელ ა. ზუხბაიას, რომელიც იცავს რა სამაზრო კომიტეტის მიერ მიღებულ შესწორებებს, ამბობს, რომ მართლაც სოხუმელი ამხანაგების საქციელი მეტად სამწუხაროა და უნდა ვისურვოთ, რომ ასეთ მოვლენებს ბოლო მოეღება. რაც შეეხება პროექტის დანარჩენ მუხლებს, მათი მიღება შეიძლება, ვინაიდან ისინი არ ეწინააღმდეგებიან ჩვენს საერთო აზრს.

კენჭის ყრით ერთხმად მიღებულ იქმნა კომიტეტის შესწორება და ამხ. ჯანჯღავას მიერ წამოყენებული დებულებები.

შემდეგ ამხანაგები აკეთებენ ადგილებიდან მოხსენებებს. მოხსენებებიდან ირკვევა, რომ საერთოდ პარტიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წვრილი ერობის შემოღებაზე ყრილობას მოკლე მოხსენებას უკეთებს ამხ. ი. ჯანჯღავა. შეკითხვებისა და არჩევნების ტეხნიკური მხრის გაცნობის შემდეგ ყრილობა ადგენს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რათა ჩვენი გამარჯვებით შესცენ ხალხს ნამდვილი ჭეშმარიტი სახალხო საქმის მკეთებლები.

ამის შემდეგ ირჩევა სამი დელეგატი აფხაზეთის სოც.-დემ. მ. პარტიის ყრილობაზე პირველ ოქტომბერს. არჩეულ იქმნენ: დ. ქ. ემუხვარი, ი. ს. ჯანჯღავა და გ. გაბისონია. დადგენილ იქმნა: მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს ცეკას, სოციალისტურ დელეგაციას, დამფ. კრებასა და მთავრობის თავმჯდომარეს. ტექსტების შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

ყრილობას ეცნო, რომ სახალხო საბჭომ მოსპო ერთად ერთი ძლიერი ორგანო ბოროტ პირებთან საბრძოლველად, „საგანგებო სასამართლო", რაც არა სასურველია. დადგენილ იქმნა ამის შესახებ წერილობითი პროტესტი გაეგზავნოს სოხუმის საოლქო კომიტეტს ასეთი ორგანოს მოსპობის გამო. ასეთი გაეგზავნოს აგრეთვე ყრილობაზე დაუსწრებლობის გამო.

ყრილობა მეტად საქმიანი იყო და დასრულდა საღამოს შვიდ საათზე.

ბ. უჩანეიშვილი.

ეკატერინენფელდი. (ბორჩ. მაზ.) 26 სექტემბერს დანიშნული იყო ს. ს.-დ. მ. პ. ბორჩალოს სამაზრო კომიტეტის წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო 1) მოხსენება წასულ მეორე პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ, 2) სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში, 3) მოხსენებები ადგილებიდან და 4) პარტიული მუშაობა.

პირველ კითხვაზე მოკლე საერთო ხასიათის მოხსენების შემდეგ, კრებამ მოისმინა ყრილობის მიერ მიღებული ყველა რეზოლიუციები და ერთხმად მიიღო იგი. შემდეგ კრებამ სიამოვნებით აღნიშნა საქართველოში სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლა, შორიდან მიესალმა მას და თანაც სწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ბორჩალოს მაზრაში არ მოხერხდა ძვირფას სტუმრების მოგზაურობა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. კრებები წესიერათ იმართება და საწევრო გადასახადების შეგროვებაც შეფერხებულია. გაზეთი „ერთობა", რომელიც თითქმის ყველა სოფლის ორგანიზაციებს ჰქონდა გამოწერილი ცენტრალურ კომიტეტისაგან, სოფლათ იშვიათად მიდის თურმე და რაც მიდის, იმის საჯაროთ წამკითხველიც არავინ არის. ყოველივე ეს ადვილი გასაგები იქნება, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ მაზრაში არა თუ სპეციალურათ პარტიული მომუშავე, არამედ უბრალო წერა-კითხვის მცოდნეც სანთლით საძებარია, მეტადრე სოფლათ. კომიტეტმა გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, დაადგინა ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან დაუყოვნებლივ გამოგზავნოს ბორჩალოს მაზრაში თუ ორი არა, ერთი მაინც კარგი მომზადებული ამხანაგი სპეციალურათ პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. **რ. რ—ლი.**

მუშათა შორის

საავათმყოფო კასაში. ქალაქთა საერთო საავათმყოფო კასასთან მუშაობს საორგანიზაციო კომისია საავათმყოფო კასათა კონფერენციის მოწვევის შესახებ. კომისია შევსებულ იქნა თფილისისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოების წარმომადგენლებით და ამ შემადგენლობით კომისიის პირველი სხდომა შესდგა 9 ოქტომბერს. ამ სხდომაზე შემუშავებულ იქნა კონფერენციის დღის წესრიგი და რამოდენიმე საორგანიზაციო საკითხები, სხვათა შორის, საკითხი გასავლის შესახებ, რომლის განაწილება დადგენილ იქნა სამ ორგანიზაციათა შორის, რომელნიც შეადგენენ საორგანიზაციო კომისიას: ქალაქთა საერთო კასა, თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს შორის. დღის წესრიგში განზრახულია შემდეგი საკითხები: 1) დაზღვევის კანონის შეცვლა ავათმყოფობისა და დასახიჩრების დროს და საექიმო დახმარების საავათმყოფო კასის განკარგულებაში გადაცემა, 2) საკითხი მშრომელთა სხვა ფორმის დაზღვევის შემოღებისა: ინვალიდობის, მოხუცებულობის, უმუშევრობის ქვრივობისა და ობლობის დროს, 3) შრომის დაცვის სხვა ფორმის მნიშვნელობა სოციალურ დაზღვევის საქმისათვის, 4) კასის კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობა, 5) საორგანიზაციო საკითხები.

ქუთაისი.

ფეხსაცმელების საკერავი ქარხნის გახსნა. ქუთაისის რაიონის კოოპერატივთა კავშირმა, გახსნა ფეხსაცმელების საკერავი ქარხანა, რომელიც მოთავსებულია რუბინის ქუჩაზე გაბილაიას სახლებში. მუშაობა დაიწყება ამ ახლო მომავალში. პირველ ხანებში შეუდგებიან დამზადებას მხოლოდ აზიური ფეხსაცმელებისას, შემდეგ კი ევროპიული ფეხსაცმელების კერვასაც. კავშირს განზრახვა აქვს ამავე ქარხნის გვერდით გახსნას ტყავეულობის დასამზადებელი ქარხანა.

წიგნების გავრცელება პროფესიონალურ კავშირებში. ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობამ თავიანთი წევრებში გასავრცელებლად შეიძინა სხვა და სხვა წიგნები. ამ ჟამად კავშირმა მიიღო ქუთაისის რაიონის კოოპ. კავშირისაგან ც.-კავშირის თითქმის ყველა გამოცემანი, რომელნიც შეუძლიათ შეიძინონ კავშირის წევრებმა ამავე კავშირის ბინაზე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა საღამოს 6—9 საათამდე.

საავათმყოფო კასა. საავათმყოფო კასა, რომელიც დაარსდა ამ რამოდენიმე კვირის წინად, მოთავსებულია შრომის კომისარიატის ბინაზე.

კონტროლი. პროფ. კავშირების ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა სასწრაფოთ აცნობა ყველა კავშირების გამგეობებს, რათა თვითეულმა კავშირმა გამოგზავნოს სამ-სამი კაცი, რომელთა მოვალეობა იქნება მორიგეობით კონტროლი გაუწიონ იმ წისქვილებს და ფურნეებს, სადაც მუშათა მაგიდის პურის ხორბალი იფქვება და ცხვება.

მუშათა კლუბი „ინტერნაციონალი". მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში" სისტემატიურად, კვირაში ერთხელ, იმართება წარმოდგენები სცენის მოყვარეების მიერ. კლუბის მუშაობას წინსვლა ეტყობა. უკანასკნელ ხანებში წარმოდგენილი იქნა შემდეგი პიესები: „და-ძმა", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", „რევოლიუციის რიჟრაჟზე", „მორევში" და სხვა. ვინც ამ წარმოდგენებს დაესწრო, მისთვის ნათელი იქნება, რომ კლუბის დრამატიული სექცია და სცენის მოყვარეები ენერგიულად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

ბათომი. 7 ოქტომბერს შესდგა ბათომის საქარხნო კომიტეტების კონფერენციის გაგრძელება. ამ დღეს განიხილეს ის საკითხები, რომლის განხილვაც წინა სხდომაზე ვერ მოასწრეს.

ამხ. ბოკუჩავამ მოხსენება გააკეთა საწევრო გადასახადის შემოუსვლელობის შესახებ. დაადგინეს საქარხნო კომიტეტების წევრებს დაევალოთ გადასახადის მოკრება კავშირის კასაში შესატანათ. მკაცრი ზომები იქნას მიღებული მუშათა შორის კავშირისადმი აბსენტეიზმის მოსასპობათ.

საქარხნო კომიტეტებს დაევალა თვალყური ადევნონ შრომის ნაყოფიერებას წარმოებებში და ყოველივე ზომები მიიღონ შრომის ნაყოფიერების ასაწევათ, მეწარმეებლების მიერ შრომის დაცვის კანონების შესასრულებლათ და მუშათა შორის კულტურულ განვითარების და კლასობრივ ინტერესების შეგნების გასამტკიცებლათ.

ამას გარდა გადაწყდა თუ საქარხნო ადმინისტრაციის მოქმედებაში შენიშნული იქნება რაიმე ბოროტ-მოქმედება, რაც წარმოებას სცემს, ამის შესახებ მსჯელობა უნდა გაიმართოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. დასასრულ კონფერენციამ დაადგინა მიესალმოს მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელ ცირკულიარს.

პროვინცია

ს. წყემი (სენაკის მაზრა). შეიძლებელია ითქვას, რომ ეს უპატრონო სოფელი იყო მანამდე, სანამ თემად გადაკეთდებოდა. ამ თემში 200-დე კომლი მოსახლეობს. გზა წინათ გაუვალი იყო, ჰაობები ახრჩობდა ადგილობრივი მცხოვრებლებს და მასთან სტუმარ მოგზაურებსაც. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ ეტლი კამეჩებით და ხარებით ამოუტანიათ ჰაობიდან. ეხლა, მადლობა ღმერთს, რომ გაიხედოთ—იტყვით გავლა მაინც შეიძლებაო. ეს მიეწერება ადგილობრივ ერობის ენერგიულ მუშაობას. დიდ ყურადღებას აქცევს ერობა გზის გაკეთებას და „კიდევაც გაკეთებულია მეტი ნაწილი და დანარჩენიც კეთდება, კეთდება აგრეთვე ხიდებიც. ამ სოფელში წინათ სკოლაც არ იყო; დღეს კი მოწინავე ამხანაგების მეოხებით აქ შენდება სკოლა (დაბალ დასაწყისი), რაც მცხოვრებლებს მილიონამდე მანეთი უჯდება. საფიქრებელი იყო, რომ ასეთ პატარა სოფელს გაუჭირდებოდა ამდენი თანხის გაღება, მაგრამ სოფლისთვის ჯერ-ჯერობით არავითარი გადასახადი არ შეუწერიათ, ვინაიდან აქ დაარსებულია მოწინავე ამხანაგებისვე საშუალებით კოოპერატიული წისქვილები, საიდანაც [illegible] ყოველგვარი სათემო ხარჯები იფარება. ვფიქრობთ, მომავალისთვის უფრო კარგად მოაწყობენ და გააუმჯობესებენ სოფლის მდგომარეობას ის მოწინავე ამხანაგები, რომლებიც ამ საქმეზე ენერგიულად მუშაობენ. **ტაია წყემელი.**

ჭელია-ღელე (რაჭა). აქ არსებობს სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებები: როგორც არის პირველ და უმაღლეს დაწყ. სასწავლებლები, აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა, წიგნთსაცავ სამკითხველო „ილია ჭავჭავაძის" სახელობის და მომხმარებელი კოოპერატივი „მოხმარება". სამწუხაროთ ადგილობრივ ძალთა სიმცირის გამო ამ დაწესებულებებს უმთავრესათ მღვდელ. დიაკვნები განაგებენ.

საკრედიტო ამხანაგობა და წიგნთსაცავ-სამკითხველო მოთავსებული იყო ერთ სახლში, რომელიც იდგა ჭელიაღელის ლუქნებთან. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა მღვდ. მინა მესხს და იოსებ გორდეზიანს ეს პირებივე ირიცხებოდენ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებათ: პირველი არის საკრედიტო ამხან. გამგეობის თავმჯდომარე და მეორე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. გამგეობის ხაზინადარია მღვდ. მ. კანდელაკი და საქმის მწარმოებელი მედავითნე ლ. ბაკურაძე. ეს ორი-სამი წელიწადია, რაც ამ საკრედიტო ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ წევრებმა არაფერი იციან, მიუხედავათ არა ერთ კრებაზე მოთხოვნისა წევრთა მიერ, ამ ექვსი თვის წინად მგონი რევიზია მოუხდენია სარევიზიო კომისიას, მაგრამ ამ რევიზიის შედეგი არავინ იცის ასეთსავე მდგომარეობაში იყო სამკითხველო. წელიწადზე მეტია რაც ამ სამკითხველოში გაზეთები არ მოდის და გამგეობას კი გულ ხელ დაკრეფილი სძინავს. რომ ეს ასე არ იყოს, ათასგვარი წყაროს გამონახვა შეიძლებოდა გაზეთების გამოსაწერათ. თუ სხვა საშუალება ვერაფერი გამონახეს, რატომ არ მოიწვიეს წევრთა კრება და გაეცნეს მათ სამკითხველოს მდგომარეობა. საერთოთ ამას დაუყონებლივ მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

ადგილობრივ კოოპერატივსაც ზემოთ აღნიშნული პირები განაგებენ. ე. ი. გამგეობაშია მღვდ. მინა კანდელაკი, სხვათა შორის, და სარევიზიო კომისიაში მ. მესხი და ი. გორდეზიანი.

ა/წ. სექტემბერს მოხდა ჭელია-ღელის კოოპერატივის წევრთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა შალ. ჭელიძე. ამ კრებაზე სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა მ. მესხმა. მომხსენებელმა კრებას გააცნო, რომ კოოპერატივს 1 იანვრიდან დღემდე გადაუტრიალებია ნახევარი მილიონი და აქედან წმინდა მოგება დარჩენილა 22965 მ. წიგნების წარმოება ვერ ყოფილა დაყენებული კარგათო, ამბობს მომხსენებელი, მაგრამ გამგეობა და ნოქარი მადლობის ღირსია და საზოგადოებამაც მადლობა გადაუხადა გამგეობას და ნოქარს შემდეგის შესწორებით, რომ კრება არ ღებულობს არც ერთ ნასიას და ნისიის წამღებ გამგეობის წევრებს საყვედური გამოეცხადა. შემდეგ არჩეულ იქნა დამატებით გამგეობის წევრები. **შალვა ჭელიძე.**

წერილი რედ. მიმართ

„გაზეთ კლდე"-ს ამა წლის 1 ოქტომბრის № 66-ში მოთავსებული იყო ლეჩხუმის მაზრიდან სოფ. ლაცორიის შესახებ წერილი მოგზაურის ფსევდონიმით. წერილის ავტორი ეხება სოფელ ლაცორიაში მომხდარ მკვლელობას და საერთოდ სამაზრო ადმინისტრაციის ასეთი მკვლელობების შესახებ გულგრილობას და მაზრაში აკრეფილი საბეგრო გადასახადების სრულის უპასუხისმგებლობას.

რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს ასეთმა უპასუხისმგებლო კორესპონდენტმა, როგორიცაა ბ. „მოგზაური" ბრძანდება ვაცხადებ, როგორც ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომ ასეთს მოვლენებს, რომელთა შესახებაც კორესპონდენტი „მოგზაური" სწერს, მაზრაში ადგილი არა ჰქონია და მთელი წერილი თავიდან ბოლომდე დამყარებულია ყალბს და მოჭორილს ცნობებზე. წერილის ავტორი რომ დაინტერესებულიყო სინამდვილის გაგებით და შემობრძანებულიყო სამაზრო დაწესებულებაში, ის გაიგებდა, რომ სოფ. ლასურიაში და არა „ლაცორიაში" მკვლელობის შესახებ ყველა ბოროტ მოქმედნი პირნი მაშინვე დაპატიმრებული იქნენ და გამომძიებელს გადაეცნენ, დღესაც ციხეში იმყოფებიან—აგრეთვე ნათლად დარწმუნდებოდა იმაშიაც, რომ მაზრაში აკრეფილი ბეგარა გადასახადების სახით, ყოველივე დანიშნულებისამებრ წარდგენილია, რისთვისაც სამაზრო ადმინისტრაციას აქვს გასამართლებელი საბუთები. რომ შემდეგში მაინც ბ. „მოგზაური"-სებურ პირიკანა კორესპონდენტებს არ ექნეს პრესაში ადგილი და მით მკითხველები შეცდომაში არ შეჰყავდეთ, ვთხოვ ბ. „მოგზაურს" გამოამჟღავნოს თავისი ვინაობა და ორივენი წავსდგეთ სასამართლოს წინაშე პასუხისგებისა და სინამდვილის აღსადგენათ.

ლეჩხუმის მაზრის მილიციის უფროსი **ჩარკვიანი.**

ამხანაგო რედაქტორო! საქმის საბოლოოდ გასაშუქებლად გთხოვთ მოათავსოთ „ერთობის" უახლოეს ნომერში ჩემი ფაქტიური შენიშვნა იმ განმარტებაზედ, რომელიც იყო „ერთობის" მე-230 №-ში მოთავსებული სახელმწიფო კონტროლის სამხედრო სამოქალაქო სექციის გამგის ბ-ნ კანდელაკის მიერ.

მე არ ვაძლევ ჩემს თავს ნებას აკადემიური კამათი გავმართო ბ-ნ კანდელაკთან იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლება გაიგოს მნიშვნელობა სახელმწიფო კონტროლის № 4849 წერილის შინაარსისა.

მე ჩემს თავს ჩავთვლიდი შეცდომათ მაშინ, თუ ბათუმის ორგანიზაციის რევიზია ყოფილიყო „მოულოდნელი", როგორც ამას რამდენჯერმე იმეორებს თავის განმარტებაში ბ-ნი კანდელაკი, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ბ. კანდელაკი არ აღნიშნავს სინამდვილეს, როდესაც ამბობს, ვითომც ხსენებული რევიზია იყო მოულოდნელი. ამასთან გაახლებთ შემოწმებულს ასლს იმ წერილისას, რომელიც გაუგზავნა მომარაგების სამინისტრომ სახელმწიფო კონტროლს 30 აგვისტოს თარიღით № 8706 ამ წერილში სამინისტრო აცნობებს სახელმწიფო კონტროლს, რომ „ბ-ნ მომარაგების მინისტრმა დანიშნა კომისია ბათომის ორგანიზაციის საქმეთა რევიზიის მოსახდენად, დღიდან მისი (ორგანიზაციის) დაარსებისა", რომ კომისია შესდგება შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: სახელმწიფო კონტროლის, ბათომის ქალაქის გამგეობის, მომარაგების სამინისტროსი და მომარაგების სამინისტროს კონტროლისა,—სთხოვდა სახელმწიფო კონტროლს სასწრაფოდ დაენიშნა თავისი (კონტროლის) წარმომადგენელი და სხვ... მხოლოდ 2 სექტემბრის თარიღით, ტელეფონოგრამით № 323 განმეორებით ეთხოვა სახელმწიფო კონტროლს დაჩქარებით მოეცა პასუხი 30 აგვისტოს წერილზე.

ზემოდ მოხსენებულიდან ნათლათ სჩანს, რომ რევიზია დაუნიშნავს ბ-ნ მომარაგების მინისტრს და უთხოვია სახელმწიფო კონტროლის მონაწილეობა და რომ რევიზია ყოფილა დანიშნული არა მოულოდნელი, არამედ ნორმალური „для ревизiи дѣлъ Батумской организацiи съ начала его возникновенiя".

ჩვენ სრულიადაც არ შეგვაქვს ეჭვი, რომ „სახელმწიფო კონტროლმა ამდენად მაინც იცის თავის საქმე, რომ იგი არავის დაავალებდა მოულოდნელ რევიზიის სავსებით მოსალოდნელად გადაქცევას", მაგრამ ერთხელ კიდევ გავახსენებთ ბ-ნ კანდელაკს, რომ რევიზია დანიშნა მომარაგების მინისტრმა თავისი ინიციატივით და უფლებით, და არავისმე დავალებით.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ბ-ნი კანდელაკი გაიტაცა პოლემიკამ და გაშორა იმ ობიექტიურ ნიადაგს, რომელზედაც ის უნდა იდგეს, როგორც სახელმწიფო კონტროლის მოხელე, მან კი „შეჰკადრა პატივცემულ საზოგადოებას არა სწორი ცნობა", ვითომც ეს რევიზია ყოფილიყოს მოულოდნელი. რით აიხსნება, თუ არა პოლემიკით გატაცებით გამეორება იმ სიტყვების და აზრის, რომელიც სპეკულიანტების გაზეთ „საქართველოს" წერილებში იყო ნახმარი,—ვითომც მე „გავაფრთხილე" ვინმე და საერთოდ ბ-ნ კანდელაკის განმარტების კილო.

მომარაგების სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილების დირექტორი **ი. ყიახაშვილი.**

დანართი: ასლი 30 აგვისტოს № 8706 მიმართვისა. ასლი 2 სექტემბრის № 323 ტელეფონოგრამისა. *)

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ხიდისთავის თემის მცხოვრებთა სახელით ქ. თფილისის მოქალაქე აკაკი ივანეს ძე სვანიშვილს, რომელმაც შემოსწირა ს. მეწყითის სკოლის შენობის ასაგებად 50,000 მან. და მდ. გუბაზეულზე ხიდის გასაკეთებლად 10,000 მან. ბ-ნმა სვანიშვილმა აღგვითქვა ახლო მომავლისთვის ცემენტით დახმარების აღმოჩენა ხიდისთავში სახალხო სახლის ასაგებად.

ხიდისთავის თემის გამგეობის თავმჯდომარე **ბ. მეგრელიძე.**

ფოსტა

ლანჩხუთი. რაიონული შტაბის თავმჯდომარეს. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება. მიზეზი ერთხელ უკვე გაცნობეთ.

---

*) ორივე ეს დოკუმენტი ინახება რედაქციაში. **რედ.**

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ექიმი
დ. პ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—33. (11—ოქტ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.)

პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. 7 ნოემ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიგლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი
ლ. პ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ 11—51. (11—ოქტ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (11—ოქტ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7- ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით, დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრონის კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 32, [illegible]

სიღნაღის სამაზრო ერობა
იწვევს უმაღლეს დაწყებით სკოლებისთვის გამგეებს და მასწავლებლებს. თვითეული მასწავლებელი და გამგე არსებულ ჯამაგირებს გარდა თემებიდან მიიღებენ თვიურად 2,000 მანეთს. მსურველებს შეუძლიათ დაუყონებლივ მიმართონ საერობო გამგეობას სიღნაღში.
(3306—2—1) გამგეობა.